# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 6 დეკემბერი, 2012 წელი.

№234 (7110)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## პეტრე მამრაძე: დიდი შეცდომა დაუშვა მესაზღვრემ, რომელმაც პროტოკოლს დაუბრუნა პასპორტი, როგორც ნივთმტკიცება

③




გაოგნებულები დარჩნენ უცხოელები. ისინი ამბობდნენ, ევროგაერთიანებაში რომელიმე მინისტრმა ასეთი რამ რომ თქვას, იმ სალამოსვე მოუწევს ადგილის გათავისუფლება.

## ნაციონალების საბოტაჟს, პადოშა ხელისუფლების სისუსტედ აღიქვამს

④



## გაჭირვებულ ოჯახებს დახმარებებს ივლისიდან გაუორმაგებენ

②



## მალე ციხიდან გათავისუფლდება 200-მდე პოლიტპატიმარი

გუშინ საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება პოლიტპატიმართა გათავისუფლების შესახებ

## ალასანია:

## საქართველოს რუსეთის კუთხეში მიყენება სურს

⑧

## საჭიროა ეროვნული ალტერნატივა...

⑦



სასწრაფოდ არის შესაქმნელი ახალი, პირველ რიგში ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებების დამცველი პოლიტიკური პარტია

## მარტო სიმართლე ვერ დააპურებს ხალხს

⑤

## თეირანი-43



⑨

## რა ხანგრძლივობის იქნება საინვესტიციო პაუზა?

③

საქართველოს ეკონომიკა, ძირითადად, უცხოურ კაპიტალზეა დამოკიდებული, თუ ინვესტორები დაფრთხებიან, დეფიციტი წარმოიქმნება და ლარის გაუფასურება დაიწყება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ ინფორმაცია

## ქართული მხარე სერგეი ლავროვის ბრალდებას უპასუხებს

**ქართული** მხარე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ბრალდებას პასუხობს და აცხადებს, რომ დიალოგის განახლების შეთავაზებაზე ადეკვატური რეაგირება მათი მხრიდან ვერ მიიღო.

— ჩვენი მოქმედება შეესაბამება სწორედ რუსეთთან დიალოგის სურვილს, პრემიერ-მინისტრმაც რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალურ წარმომადგენლად ზურაბ აბაშიძეც ამიტომ დანიშნა, თუმცა მათი მხრიდან ვერ მივიღეთ ადეკვატური რეაქცია. რაც შეეხება სიტყვა „რიტორიკას“, რომელიც სერგეი ლავროვმა ახსენა, ეს რიტორიკა კი არა, რეალობაა — საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია. ჩვენ არ ვაყენებთ წინაპირობად, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხების განხილვით დავიწყოთ დიალოგი, მაგრამ ამ პროცესს არ შეუწყობს ხელს მათი მხრიდან იმის უარყოფა, რომ ეს ტერიტორიები ოკუპირებული არ არის. დიახ, საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია და ჩვენი უმთავრესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იქნება, - განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა.

მისივე განმარტებით, ქართული მხარე რუსეთთან ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებით მცდელობას არ დააკლებს.

— ვფიქრობ, რომ რუსეთის მხრიდანაც უნდა გადმოიდგას კონკრეტული ნაბიჯები. არსებობს არხები იმისთვის, რომ შესაბამის დონეზე დაიწყოს ლაპარაკი, თუმცა არც ერთი არხი არ ჩაანაცვლებს ჟენევის პროცესს. ჟენევის პროცესი უმნიშვნელოვანესია — რუსეთთან იქ გაგრძელდება მოლაპარაკებები კონფლიქტის საკითხზე და სხვა არხები გამოიყენება იმისთვის, რომ ურთიერთობის ნორმალიზებისთვის შემხვედრი ნაბიჯი გადაიდგას, — აღნიშნა პეტრიაშვილმა.

ამასთან, „ინტერპრესნიუსთან“ სახელმწიფო მინისტრი ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებასაც გამოეხმაურა და „მნიშვნელოვანი უწოდა.

— ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რაც ნატოს გენერალურმა მდივანმა თქვა. მან საქართველოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის კონტექსტში ძალიან დადებითი განცხადება გააკეთა. ჩვენ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ გადავდგათ ყველა ნაბიჯი, რაც მაქსიმალურად დააჩქარებს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას, მოგეხსენებათ, ამას სჭირდება ცალკეულ წევრ სახელმწიფოებთან ინტენსიური დიპლომატიური მუშაობა და ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

## ქვეყნის დეოკუპაცია არის პრიორიტეტი, რომელიც არასოდეს შეიცვლება

**საქართველო** თავისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას არასოდეს შეეგუება, — როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ბრიუსელიდან იუწყება, ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის სერგეი ლავროვის განცხადების კომენტირებისას აღნიშნა.

ფანჯიკიძის თქმით, საქართველო ყოველთვის იბრძოლებს იმისთვის, რომ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი, დიპლომატიური ურთიერთობების გზით ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს და ქვეყნის სუვერენიტეტი შენარჩუნდეს.

— ეს ჩვენი წინაპირობა არ არის, ეს არის ჩვენი რწმენა, ჩვენი მთავარი ამოცანა. ქვეყნის დეოკუპაცია არის პრიორიტეტი, რომელიც არასოდეს შეიცვლება. მიუხედავად ამისა, დიალოგი მაინც შესაძლებელია. ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან, ასეთი დიალოგი შედგება. ერთი პრეცედენტი ასეთი დიალოგისა გვაქვს ჟენევაში, ხოლო სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნით, ჩვენი მცდელობაა, რომ გაიხსნას მეორე არხი კონტაქტისა. დარწმუნებული ვარ, გარკვეულ სფეროებში ასეთი დიალოგი შესაძლებელი იქნება, რომელმაც შეიძლება ურთიერთობების გაუმჯობესებამდე მიგვიყვანოს, — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

## თბილისელებს 100-ლარიანი ვაუჩერები დაურიგდებათ

**მომავალ** წელს თბილისში მცხოვრები თითოეული ოჯახი კომუნალური გადასახადის 100-ლარიან ვაუჩერს მიიღებს. ეს დედაქალაქის 2013 წლის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული, რომლის პროექტიც თბილისის მერიაში განიხილეს.

ამასთან, როგორც ბიუჯეტის პროექტის განხილვისას დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა, ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის, რომლის სარეიტინგო ქულაც 70 ათასს შეადგენს, 250-ლარიანი ვაუჩერიც განისაზღვრება.

— ბიუჯეტი ითვალისწინებს ე.წ. კომუნალურ ვაუჩერს ყველა თბილისურ ოჯახზე 100 ლარის ოდენობით, ხოლო ვისაც სარეიტინგო ქულა 70 ათასი აქვს, მიიღებს 250-ლარიან ვაუჩერს. მიმაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი სიახლე იქნება, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა კომუნალური გადასახადები კვლავ წარმოადგენს ნომერ პირველ პრობლემას ჩვენი მოსახლეობისთვის. მე მხოლოდ მივესალმები ცენტრალური მთავრობის ძალისხმევას, რომელიც ამ კუთხით მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებს, თუმცა თუ ეს ვერ განხორციელდა, ყველა შემთხვევაში ეს ვაუჩერი არსებითი შეღავათი იქნება, — განაცხადა გიგი უგულავამ.

თბილისის მერია ბიუჯეტის 2013 წლის პროექტს საკრებულოს წევრებთან ერთად განიხილავს. არსებული ინფორმაციით, დედაქალაქის მთავრობას მომავალ წელს 50 მილიონით შემცირებული ბიუჯეტი ექნება და ის 640 მილიონი ლარით განისაზღვრება.

**ინტერპრესნიუსი**

◉ სოციალური სფერო

## გაჭირვებულ ოჯახებს დახმარებებს ივლისიდან გაუორმაგებენ

**პარლამენტში გადამუშავებული და საბოლოოდ დასრულებული ბიუჯეტის პროექტი შევიდა, სადაც ბევრი რამის ამოკითხვა შეიძლება. პენსიები მართლაც 150 ლარამდე იზრდება, ოღონდ მხოლოდ სასექტემბროდ, სოციალური დახმარებები კი უფრო ადრე — ივლისიდან გაორმაგდება. მთლიანობაში კი სოციალური ხარჯები 630 მილიონ ლარზე მეტით იზრდება.**

მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 8 მლრდ 158 მლნ ლარით განისაზღვრება. საბიუჯეტო სახსრებში ცვლილებები, ძირითადად, შემდეგ მიმართულებებს შეეხება: სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს.



ამასთანავე, წარმოდგენილი ცვლილებები მთლიანობაში გავლენას არ მოახდენს საბიუჯეტო დეფიციტის მაჩვენებელზე და ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებაში კვლავ 3,5%-ის ფარგლებშია დაგეგმილი, ეკონომიკის რეალური ზრდა კი 7%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი.

პროექტის მიხედვით, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს დაფინანსება შეუმცირდათ, გამოთავისუფლებული რესურსით კი ჯანდაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების დაფინანსება გაიზრდება. საბიუჯეტო პროექტის კორექტირებული ვარიანტის მიხედვით, 2013 წლისთვის 15,2 მლნ-ით შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო 30 მლნ ლარით თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება მცირდება.

2012 წელთან შედარებით, ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება 535 მლნ ლარით იზრდება. გარდა ამისა, როგორც ფინანსთა სამინისტრო განმარტავს, მნიშვნელოვანი რესურსი იქნა მოძიებული 2012 წელს არსებულ პროგრამებში და მთლიანობაში სოციალური ხარჯები 630 მილიონ ლარზე მეტით იზრდება.

საზოგადოებას ყველაზე მეტად სოციალური დახმარებებისა და პენსიების საკითხი აინტერესებს. მათგან სიახლე დახმარებების მხრივ შეინიშნება.

გაჭირვებული მოსახლეობის სოციალური დახმარებების ზრდა პირველი ივლისიდან არის დაგეგმილი. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში სოციალური დახმარებების ზრდის ხარჯი გათვალისწინებულია და ის დამატებით 70 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.

ივლისიდან 57 ათას ქულამდე მყოფი ოჯახის პირველი წევრი 30 ლარის ნაცვლად, 60 ლარს მიიღებს, ხოლო ყოველი მომდევნო წევრი 24 ლარის ნაცვლად — 48 ლარს.

ასაკით პენსიონერთა და პირველი ჯგუფის ინვალიდთა პენსია პირველი სექტემბრიდან საარსებო მინიმუმს - 150 ლარს გაუტოლდება. პენსიის 150 ლარამდე ზრდა 2013 წლის საბიუჯეტო პროექტში ასახული, რომლის საბოლოო ვარიანტი დასამტკიცებლად მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა.

პენსიებთან დაკავშირებით მთავრობის გეგმა, რომელიც მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტშია ასახული, ასეთია: 1 აპრილიდან 67 წლის პენსიონერების პენსიას უფრო დაბალი ასაკის პენსიონერთა (110 ლარი) და პირველი კატეგორიის ინვალიდების პენსია (100 ლარი) გაუთანაბრდება და 125 ლარით განისაზღვრება. 1 სექტემბრიდან კი ასაკით პენსიონერთა და პირველი ჯგუფის ინვალიდთა პენსია საარსებო მინიმუმამდე (150 ლარი) გაიზრდება, ასევე გაიზრდება მეორე ჯგუფის ინვალიდების, მარჩენალდაკარგულებისა და პოლიტრეპრესირებულების პენსიები და 100 ლარი იქნება.

გარდა ამისა, აღმოიფხვრება 2005 წლამდე ძალოვანი უწყებებიდან დათხოვნილი მოქალაქეების პენსიებთან დაკავშრებული უსამართლობა და რეგრესული პენსიების დაფინანსება აღდგება. საგაისო ბიუჯეტში პენსიების ზრდის დამატებითი ხარჯი 140 მლნ ლარს აჭარბებს.

ძალიან მნიშვნელოვანია ბიუჯეტის გამჭვირვალობა. ამ მხრივ განსაკუთრებით ნეგატიური წლევანდელი ბიუჯეტი აღმოჩნდა, როდესაც 1 მილიარდ ლარზე მეტი გაურკვეველი მიმართულებით მიედინებოდა.

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის თქმით, ახალი ბიუჯეტის ფორმატში პირველად დეტალურად არის გაშლილი ე.წ. „სხვა ხარჯების“ მუხლი და კონკრეტულად არის ჩამოთვლილი ყველა ის პროექტი, რომელიც 2013 წელს ამ მუხლიდან დაფინანსდება.

„ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი იყოს გამჭვირვალე და მიმდინარე ხარჯების თაობაზე საზოგადოებასა და გადასახადის გადამხდელს ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია“, — აცხადებს ნოდარ ხადური.

**ეკა ბაქრაძე**

◉ რეიტინგი

## სადაც საქმის კეთება მისწრებაა

**პირადი თავისუფლება, საკუთრების უფლებისა და ინვესტორთა სამართლებრივი დაცვა, ბიუროკრატიისა და კორუფციის დაბალი დონე, ინოვაციების შემოღება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ზომიერი და გაწონასწორებული გადასახადები, ვაჭრობისა და ფულადი მიმოქცევის თავისუფლება, ასევე აქციების ბაზრის დინამიკა — ეს ის კრიტერიუმებია, რომლებითაც ჟურნალ „ფორბსის“ ექსპერტები ბიზნესის წარმოების მხრივ მსოფლიოს ქვეყნების პერსპექტიულობის რეიტინგი შეადგინეს.**

აღნიშნული ნუსხა ეკონომიკის ექსპერტებმა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების — **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, მსოფლიო ბანკის, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, „ჰერითეიჯ ფონდის“, „ფრიდომ ჰაუსისა“** და **„თრენსფერენსი ინტერნეშნელის“** სპეციალისტების მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეადგინეს.

„ფორბსის“ რეიტინგ-ლაისთის თანახმად, **ბიზნესის წარმოების პერსპექტიულობის მხრივ საქართველო 50-ე ადგილზეა,** თუმცა კი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს შორის იგი რიგით მეოთხეა. კერძოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ამ სიაში საქართველოსთან შედარებით მოწინავე პოზიციები უკავიათ ბალტიისპირეთის ქვეყნებს **ესტონეთს, ლიტვასა და ლატვიას** (შესაბამისად, 22-ე, 35-ე და მე-40 ადგილები). ამ კატეგორიის ქვეყნებს შორის საქართველოს მომდევნო ადგილზე არიან **ყაზახეთი** (70-ე ადგილი), **აზერბაიჯანი** (73), **სომხეთი** (77), **მოლდოვა** (92), **უკრაინა** (104), **რუსეთი** (105).

შეგროვილი მონაცემების გათვალისწინებით ექსპერტებმა საქმიანი მოღვაწეობის თვალსაზრისით ყველაზე მიმზიდველ ქვეყანად **ახალი ზელანდია** დაასახელეს, სადაც ეკონომიკური რეფორმები, პოტენციურ ინვესტორთა აზრით, უმაღლეს დონეზეა.



თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, ვაჭრობის თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის მაღალი ხარისხის წყალობით მას **დანია** მოსდევს. სამეულის „ჩამკეტი“ კი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი ეკონომიკის გათვალისწინებით, **ჰონკონგია,** რომლის დამსგავსებას ასე ცდილობდა საქართველოს წინა ხელისუფლება, მაგრამ რომელთან ოდნავ მიახლოებაც ვერ შევძელით.

**სინგაპური, კანადა, ირლანდია, შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი და დიდი ბრიტანეთი** ათეულის შემდეგი წევრები არიან, სადაც ინვესტორებისთვის სხვა ქვეყნებზე უკეთესი პერსპექტივებია ბიზნესის საწარმოებლად. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მოწინავეთა ათეულს მიღმა დარჩა **ამერიკის შეერთებული შტატები,** რომელსაც რეიტინგში მე-12 ადგილი ერგო.

**ლალი ხუნდაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მრავალპასპორტიანები...**



***ყოფილი** დეპუტატი და ცნობილი პოლიტოლოგი პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ არა მხოლოდ ვანო მერაბიშვილს, არამედ ძველი ხელისუფლების სხვა ჩინოვნიკებსაც, ყოველი შემთხვევისთვის, მეორე პასპორტები აქვთ გამზადებული.*

*მან არ გამორიცხა, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა ქვეყანა სწორედ ასეთი ხერხით დატოვა.*

*მამრაძის თქმით, ვიზიტების დროს სწორედ ასეთი პრაქტიკა არსებობს და პროტოკოლის სამსახურის წარმომადგენელი დელეგაციის ყველა წევრის პასპორტს მესაზღვრეებს გადასცემს. სწორედ პროტოკოლის სამსახურისთვის პასპორტების გადაცემის დროს დოკუმენტები აერია ვანო მერაბიშვილს.*

*For.ge პეტრე მამრაძეს ესაუბრა.*

# პეტრე მამრაძე: დიდი შეცდომა დაუშვა მესაზღვრემ, რომელმაც პროტოკოლს დაუბრუნა პასპორტი, როგორც ნივთმტკიცება

**— როგორ ფიქრობთ, ორპასპორტიანობა ყოფილი ხელისუფლების დამახასიათებელი თვისებაა და ვანო მერაბიშვილის შემთხვევა გამონაკლისი არ არის?**

— არავითარი კონკრეტული ინფორმაცია, მტკიცებულება იმისა, რომ ამ ადამიანებს ჰქონდათ ორი და მეტი პასპორტი მე არ გამაჩნია, თუმცა მსგავსი დონის მოხელეებმა იციან რა, რომ ჩაიდინეს დიდი დანაშაული, გამორიცხული არ არის, ასეთი სათადარიგო პასპორტები ჰქონდეთ. სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს და კიდევ რამდენიმე ადამიანს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ნაწილი რომ დაუმტკიცდეთ, წესით, უვადო პატიმრობა არ უნდა ასცდეთ. ამიტომ მაქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ ასეთ ადამიანებს, რომლებმაც თვითონვე იციან, თუ რა ჩაიდინეს, როგორც წესი, შავი დღისთვის გამზადებული აქვთ ასეთი სამარქაფო ყალბი პასპორტები. ისინი გადიან ქვეყნიდან თავიანთი პასპორტით, რადგან, რა თქმა უნდა, თავის ქვეყანაში მათ ყველა ცნობს სახეზე. ამიტომ, თუკი მესაზღვრე თავისიანი არ არის და მის დავალებას არ ასრულებს, ეს გამოაშკარავდება. ამიტომ, პირველ ქვეყანაში თავისი პასპორტით გადიან, პირველიდან მეორე ქვეყანაში კი უკვე— სხვა პასპორტით. მეორედან მესამე ქვეყანაში შეიძლება კიდევ სხვა პასპორტი გამოიყენონ და ა.შ. ანუ იკარგება კვალი, რომ მოძებნონ კომპიუტერებში.

ვინ იცოდა, რომ ლევან მაისურაძის სახელსა და გვარს გამოიყენებდა მერაბიშვილი? სხვათა შორის, კახი კახიშვილმა საინტერესო ვერსია თქვა. კერძოდ, ცნობილია, რომ ყალბი პასპორტი მისცეს პროტოკოლს. ცხადია, პროტოკოლმა არც იცოდა, ვის ეკუთვნოდა პასპორტი, რადგან პასპორტის შიგნით ხომ არ ჩაიხედავდა? ამიტომ, მესაზღვრეს, რომელმაც ეს დარღვევა აღმოაჩინა, მაშინვე რომ დაეპატიმრებინა მერაბიშვილი, ამის გამო მთელ მსოფლიოში დიდ სკანდალს ატეხავდნენ, რომ თურმე ასეთი შეთითხნილი და შემოგდებული ბრალდებით აპატიმრებენ ყოფილ პრემიერს, რომელიც იმ დროს გვერდში ედგა პრეზიდენტს. იმკითხავებენ, აგერ, ჯიბეში უდევს მერაბიშვილს თავისი ნამდვილი პასპორტი და ეს მეორე პასპორტი საიდან გაჩნდა? სუფთები ვართ და ნახეთ, რა მოგვიწყესო.




მეორე ვერსია კი ასეთია და მე უფრო ამ ვერსიას ვემხრობი, რომ, უბრალოდ, შეეშალა მერაბიშვილს და პროტოკოლს ჩააბარა ყალბი პასპორტი, ნაცვლად თავისი ნამდვილი პასპორტისა. სხვათა შორის, მერაბიშვილი ისეთი აღელვებული იყო სახეზე, როცა მიდიოდა დაკითხვაზე, რომ ამ ვერსიას ვემხრობი. იმიტომ, რომ ყალბი პასპორტის ჩაბარება, თუნდაც პროვოკაციისთვის, მაინც დიდი შარია მათთვის, რადგან გამოძიება დაადგენს, სად დამზადდა, როდის დამზადდა, იქ ხომ თითების ანაბეჭდები იქნებოდა. ეს ხომ მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტია?! ასე რომ, ჩემი ვარაუდით, არ გააკეთებდა ამას, თუმცა კახა კახიშვილის ვერსია საინტერესო და ლოგიკურია. როცა დავინახე, რა დღეში იყო მერაბიშვილი, როცა შედიოდა დაკითხვაზე, კითხვები ერეოდა და როგორი ფერი ედო, მივხვდი, რომ ეს თავიდანვე მის მიერვე დაგეგმილი პროვოკაცია რომ ყოფილიყო და რომ ეფიქრა, დაე, დამიჭირონ, რათა ავტეხოთ ხმაური, მაშინ ასეთ დღეში არ იქნებოდა.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ყოფილ მაღალჩინოსნებს შეიძლება ორი და სამი პასპორტიც თავისუფლად ჰქონდეთ?**

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მათ ხელში იყო. მსგავსი რამ თვითონ მერაბიშვილის ინტერვიუშია ნათქვამი. მახსოვს ამ ინტერვიუმ როგორ გააოგნა ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების დიპლომატები საქართველოში. ეს იყო 2010 წლის გაზაფხულზე, თვითმმართველობის არჩევნების წინ, როცა მერაბიშვილმა რუსულ „კომერსანტთან“ ინტერვიუში ბრძანა, როცა რაღაცის გაკეთება გვინდა, რაც საჭიროა, მაგრამ კანონი ამის საშუალებას არ იძლევა, ჩვენ აღარ ვუყურებთ კანონს და ვაკეთებთ იმას, რაც საჭიროა. გაოგნებულები დარჩნენ უცხოელები. ისინი ამბობდნენ, ევროგაერთიანებაში რომელიმე მინისტრმა ასეთი რამ რომ თქვას, იმ საღამოსვე მოუწევს ადგილის გათავისუფლება. ამ დროს კი ის, ვინც კანონს უნდა იცავდეს, ღიად აცხადებს, რომ, როცა საჭიროა, კანონს არ ვუყურებთო.

**— თქვენ აცხადებთ, ადეიშვილისგან განსხვავებით, როგორც ჩანს, მერაბიშვილს პასპორტები აერიაო. ე.ი. ადეიშვილმაც, სავარაუდოდ, მსგავსი გზა გაიარა და ისარგებლა ორპასპორტიანობით?**

— ვინმემ იცის სად არის ადეიშვილი?

**— ყოველ შემთხვევაში, იგი ევროპაშია. აქამდე იგი ფრანკფურტში შენიშნეს.**

— თუ ვინმემ იცის, თუ სადაა ადეიშვილი, მაშინ შეიძლება, გავყვეთ ამ გზას და შესაბამისი ქვეყნის მესაზღვრეებს ვკითხოთ ამის შესახებ. ყველა მგზავრი ხომ მაინც კომპიუტერით ფიქსირდება? თუ ადეიშვილი მოძრაობდა, როგორც ზურაბ ადეიშვილი და არა სხვა სახელისა და გვარის მქონე პიროვნება, მაშინ, თავისი პასპორტით უსარგებლია ბოლომდე. მაგრამ, თუკი იგი ამჟამად „ა“ ქვეყანაშია და ამ დროს კი „ბ“ ქვეყანაში თავდება ზურაბ ადეიშვილის კვალი, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ „ბ“-დან „ა“-ში იგი გადავიდა სხვა პასპორტით.

**— ეს გზა, შესაძლოა, მომავალში სხვა მაღალჩინოსნებმაც გაიმეორონ და მეორე ქვეყნიდან მესამეში გადასვლა სხვა პასპორტით სცადონ. აქედან გამომდინარე, ეს ხომ არ იყო უბრალოდ ძალების მოსინჯვა, რათა შეემოწმებინა, გავიდოდა თუ არა სხვა პასპორტით?**

— ეს გამორიცხულია. მოსინჯვა გამორიცხულია. უბრალოდ, არ უღირთ. ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა მესაზღვრემ, რომელმაც უკან გაატანა ეს პასპორტი. ფაქტობრივად, მან პრეზიდენტის ადმინისტრაციის პროტოკოლის მუშაკს მისცა ნივთმტკიცება, თუმცაღა, გადაიღო და კომპიუტერში ყველაფერი ჩანს. დაიბნა ეს ადამიანი თუ რაშია საქმე, არ ვიცი, მაგრამ მესაზღვრეს არ უნდა დაებრუნებინა ეს საბუთი. ყოველ შემთხვევაში, მე რა ინფორმაციაც წავიკითხე, იქ მესაზღვრე ყვება, თუ როგორ გაატანა პროტოკოლის სამსახურის წარმომადგენელს, მე მგონი, გიორგაძეს, ეს დოკუმენტი, მან კი როგორ მიუტანა მერაბიშვილს. თავის მხრივ კი, მერაბიშვილმა გიორგაძეს უთხრა, რა პრობლემაა, აგერ, ჩემი პასპორტიო.

**— მაგრამ კითხვებს აჩენს ასევე, რატომ დაბრუნდა ერევანში მყოფი მერაბიშვილი საქართველოში?**

— ჩვენ ხომ არ ვიცით, ამ ეტაპზე რა იყო დაგეგმილი და სად უნდა წასულიყო მერაბიშვილი? ამ ინციდენტის შემდეგ, შესაძლოა, მერაბიშვილმა და სააკაშვილმა გადაწყვიტეს, ასე აჯობებს, დაბრუნდე, ეს უფრო მომგებიანი იქნებაო.

**მანანა ნოზაძე**

**ისე არ წვიმს...**

# რა ხანგრძლივობის იქნება საინვესტიციო პაუზა?

**საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციები ვრცელდება უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით. ოფიციალური მონაცემები ჯერ არ არსებობს და ახლო მომავალში არც იქნება. თუმცა, ტენდენცია მალე გამოჩნდება, როდესაც რამდენიმე დღეში „საქსტატი“ მესამე კვარტლის შედეგებს გამოაქვეყნებს.**

საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარის ფადი ასლის თქმით, არასტაბილურობა და გაფიცვები ბიზნეს-გარემოზე ცუდ ზეგავლენას ახდენს.

**„საქართველოს ეკონომიკა, ძირითადად, უცხოურ კაპიტალზეა დამოკიდებული, თუ ინვესტორები დაფრთხებიან, დეფიციტი წარმოიქმნება და ლარის გაუფასურება დაიწყება. ამ ორი თვის განმავლობაში, არც ერთი უცხოური ინვესტიცია არ შემოსულა და ჩემი პროგნოზით, ეს სიტუაცია უახლოესი 3 თვის განმავლობაში არ გამოსწორდება.**

**დრო არ ითმენს, მთავრობამ სასწრაფოდ სამოქმედო გეგმა უნდა შეიმუშაოს, თუმცა მმართველი გუნდიდან ბიზნესთან თანამშრომლობის არანაირი ინიციატივა არ მოდის. ძველი მთავრობა ყოველთვის მზად იყო ინვესტორებთან შესახვედრად, ახალი მთავრობა კი არც ტელეფონის ზარებს უპასუხებს და არც ელექტრონულ წერილებს“,** — აცხადებს ფადი ასლი.

ფადი ასლი ამბობს, რომ თურქი ინვესტორები, რომლებსაც ძველ მთავრობასთან ენერგეტიკულ პროექტებზე მემორანდუმები უკვე გაფორმებულები ჰქონდათ, დღეს საქართველოთი აღარ ინტერესდებიან. ერთ-ერთმა თურქულმა კომპანიამ კი საქართველოს მთავრობის ახალი სატარიფო პოლიტიკის ფონზე ქვეყანაში ჰესის მშენებლობა გადაიფიქრა და ინვესტიციის განხორციელება მაკედონიაში დაიწყო.

აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში თურქული ინვესტიციების შეჩერების ფაქტებს უარყოფენ. მათი ინფორმაციით, უკვე შეთანხმებული პროექტები ავტომატურ რეჟიმში გრძელდება. აჭარის სავაჭრო პალატაში არ ფლობენ ინფორმაციას იმ თურქულ კომპანიაზე, რომელმაც ქვეყანა დატოვა.

ექსპერტები განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავენ იმაში, რომ წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდში უცხოური კაპიტალის შემოდინება შემცირდა. მათი აზრით, ეს ბუნებრივი პროცესია, მთავარია, ახლა რა პოლიტიკას გაატარებს ინვესტორების დასაინტერესებლად „ოცნების“ ხელისუფლება.

სტატისტიკის ექსპერტის სოსო არჩვაძის თქმით, მაშინ, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია იცვლება, უცხოელი ბიზნესმენები იქ ფულის დაბანდებისგან თავს იკავებენ, უფრო ზუსტად კი — ფრთხილობენ.

**„2008 წლის მეორე ნახევარში ქვეყანაში 3-ჯერ ნაკლები უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, ვიდრე წლის პირველ ნახევარში. მაშინ ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ომის შემდეგ უცხოურმა ბიზნესმა ფულის დაბანდებისას დიდი სიფრთხილე გამოიჩინა. ამ შემთხვევაშიც, როდესაც პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, დიდი ალბათობაა, რომ ინვესტიციების მოცულობა შემცირებულიყო.ზუსტი პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია და თანაც, ახლა, ნებისმიერი პროგნოზი დიდ რისკთანაა დაკავშირებული. რა იქნება მომავალში, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იმუშავებს ახალი ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოელ ბიზნესმენებთან.**

**დამატებით გასათვალისწინებელია მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. დღეს მსოფლიო ეკონომიკა რეცესიაშია. ასეთ შემთხვევაში, ბიზნესი არ არის დაინტერესებული, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ფული დააბანდოს და საქმიანობა დაიწყოს“,** — განაცხადა სოსო არჩვაძემ პრესასთან საუბრისას.

**ეკა ბაქრაძე**

**ინფორმაცია**

## წელს თურმე 4 მილიონი ტურისტი გვესტუმრობდა

**2012 წლის დეკემბრამდე საქართველოს 4 მილიონზე მეტი უცხოელი ტურისტი სტუმრობდა.**

**ინფორმაციას შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს. ოფიციალური ინფორმაციით, 2012 წლის 11 თვეში — იანვარიდან-ნოემბრამდე საქართველოში სულ 4 017 375 უცხოელი მოგზაური ჩამოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 58%-ით აღემატება.**

**„2012 წლის ნოემბრის თვეში საქართველოში ჩამოსულ უცხოელთა რაოდენობამ 369 101 შეადგინა, რაც გასული წლის იმავე პერიოდში ჩამოსულთა ციფრზე 68%-ით მეტია. სტაბილურად იმატებს უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა მეზობელი ქვეყნებიდან. 11 თვის მონაცემებით, ლიდერობენ შემდეგი ქვეყნები: თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და ირანი, — აცხადებენ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ პოლიტიკური ზვავის წინ

# ნაციონალების საზოგადოების, პადოშა ხელისუფლების სისუსტედ აღიქვამს

ბავშვობაში, ხოლო შემდგომ ცხოვრების ნირით გამყარებული ზედმეტსახელი პადოშა — გია თორთლაძე წინა მოწვევის პარლამენტში ოპოზიციის კვოტით გავიდა, თუმცა, კოლეგების მსგავსად მანდატი არ დაუტოვებია. ჯერ საპარლამენტო ე. წ. ოპოზიციასთან მოძებნა საერთო ენა და პარლამენტარ გია ცაგარეიშვილთან ერთად შექმნა რაღაც უსახური მოძრაობა. მათი ხანმოკლე პარტიულ-პოლიტიკური მეგობრობა იმით დასრულდა, რომ ცაგარეიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა — თორთლაძესთან ერთად მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა თავმოყვარე კაცისთვის სირცხვილიაო. მიზეზი განშორებისა გახდა ის, რომ თორთლაძე სადეპუტატო პერიოდში სულ უფრო და უფრო იხრებოდა ნაციონალებისკენ. პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ მთლად აუშვა აფრები და „ოლიგარქისა" და „რუსეთის პროდუქტის" კრიტიკასა და ლანძღვაში თვით ვარდოსნების იდეოლოგებსა და ლიდერებსაც სჯობნიდა.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ „პადოშა" არსად ჩანდა, მაგრამ, როგორც კი მმართველ გუნდს დროებით პრობლემები და წინააღმდეგობები გაუჩნდა, საზოგადოებასა და განსაკუთრებით მის პარტნიორებს ყოფილ ხელისუფალთ, კვლავ შეახსენა თავი. ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში მან „ქართული ოცნების" კურსს „ბუნდოვანი" უწოდა, ხოლო განსაკუთრებული კრიტიკის საგნად სამართალწარმოება და სამართალდამცავი ორგანოები გაიხადა. პირველ სამიზნედ ამნისტიის კანონპროექტი აირჩია.

თორთლაძე ამაყად აცხადებს, რომ 2008 წლის ფართომასშტაბიანი ამნისტიის ერთ-ერთი ავტორი ისიც იყო და სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნით ამოიღეს კანონპროექტიდან 59-ე მუხლი, რის შედეგადაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლდება 2 ათასი კაცი და არა 8, როგორც თავიდან იყო დაგეგმილი. გამოდის, რომ სწორედ თორთლაძის დამსახურებაა, რომ 6 ათასი კაცი დარჩა იმ პირობებში, რომელშიც ხელისუფლება პატიმრებს ამყოფებდა. თუმცა, ყოფილი პარლამენტარი არ საუბრობს იმაზე, ამ კატეგორიიდან რამდენს მიესადაგებოდა ავადსახსენებელი 59-ე მუხლი და რამდენს შეუკერეს.

ყოფილი დეპუტატი აღუშფოთებია ივანიშვილის მოსახლეობისადმი მიმართვას, რომ საზოგადოება გაგებით უნდა მოეკიდოს ამნისტიის შემდგომ კრიმინოგენური ვითარების დროებით გაუარესებას. საინტერესოა, რას იტყოდა პატიმართა უფლებების აქტიური დამცველი (ნაცებთან გარიგებამდე) ბევრი სატუსაღოში შემთხვევით მოხვედრილი ტუსაღი ან უსამართლოდ გასამართლებული, რომ დარჩენილიყო იქ, ან თუნდაც ტელეეთერში შემზარავი კადრების ჩვენების შემდეგ რა კომენტარს გააკეთებდა.

ყოფილი პარლამენტარი პროკურატურასაც გადასწვდა და პრეტენზია გამოთქვა მთავარი პროკურორის მიმართ, თუ რატომ არ ატარებს იგი საგამოძიებო ღონისძიებებს ირაკლი ალასანიას ნათქვამზე, თავდაცვის სამინისტროში 13 მლნ ლარია გაფლანგულიო.

„პადოშა" დაკავებებსაც შეეხო, მაგრამ ვერ გარისკა მათთვის პოლიტიკური ნიშანი მიეცა, მხოლოდ ეს თქვა, მტკიცებულებები მწირი და არამყარიაო.

ჟურნალისტებთან საუბარში თოთრლაძემ თავისი ნაცნობების მოსაზრება მოიყვანა არგუმენტად — ქალაქში ნარკოტიები „ყრიაო". ნარკოტიკების გამოჩენა მართალია, მაგრამ ამას ექსპერტები, სპეციალისტები, პროფესიონალები სულ სხვა მიზეზებს უკავშირებენ. ისინი გვახსენებენ წლებს, როდესაც ქვეყანა მართლაც მიჰქონდა ნარკომანიას. ერთი პერიოდი ისე შეგველახა იმიჯი, რომ საქართველო სატრანსპორტო სატრანზიტო ქვეყნიდან, კინაღამ ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყნად გადაიქცა. საზოგადოება სერიოზულად იყო აღშფოთებული ნარკომანიის გავრცელებითა და სამართალდამცავთა უმოქმედობით. უკვე დადიოდა მოარული ხმები იმის თაობაზე, რომ პოლიცია ალიანსში იყო ნარკორეალიზატორებთან.

ასეთ ვითარებაში შს მაშინდელი მინისტრი გამოვიდა ინიციატივით და საზოგადოებას დახმარების თხოვნით მიმართა. მას, ვინც ერთ რეალიზატორს გამოავლენდა, ჯილდოს სახით ათასი ლარი გადაეცემოდა. ამასთან დაცული იქნებოდა ანონიმურობა და უსაფრთხოება.

ქვეყანაში დაიწყო ანტინარკოტიკული ბუმი. აკავებდნენ რეალიზატორებს, დილერებს. შსს-ს შენობის წინ



გამოჰქონდათ ამოღებული ნარკოტიკები და ხელისუფლებასთან დაახლოებული ტელევიზიების თვალწინ ანადგურებდნენ მას. ბრძოლა საკანონმდებლო ცვლილებებშიც გამოიხატა. გაძლიერდა სანქციები, გაიზარდა ჯარიმები, ნელ-ნელა ნარკორეალიზატორებისა და მომხმარებლების რიცხვმა იკლო.

ყოველივე ამას, კარგად დაგეგმილ სპექტაკლს უწოდებდნენ პროფესიონალები, სპეციალისტები. ბოლოს კი ანალიტიკოსებმა დადეს ქვეყანაში მიმდინარე ანტინარკოტიკული ბრძოლის დასკვნა.

როდესაც ქვეყნის ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა მოვიდა სიტუაცია საგანგაშო იყო, მაგრამ მიმდინარე პროცესებს კარგად აუღეს ალღო. მათ თანამიმდევრულად გააძლიერეს ბრძოლა ნარკომომხმარებლების წინააღმდეგ. მათგან გადიოდნენ გამსაღებლებზე. შემდეგ კი — დილერებზე — შემომტანებზე. დაიწყეს მათი დაკავება. გაკვალულ ხაზებზე იწყეს თავიანთი სანდო დილერების ჩანერგვა. ამას მოჰყვა საიმედო რეალიზატორთა კასტის გამოჩენაც, ბოლოს კი საიმედო მომხმარებლებისა.

ანალიტიკოსთა დასკვნით აკავებდნენ, აჯარიმებდნენ, ციხეში უშვებდნენ მათთვის არასანდოებსა და მათ არხებზე არამომუშავეებს. დაკავებულებს უმეტესწილად აჯარიმებდნენ, რითაც ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის, იგივე ნაციონალური მოძრაობის ხაზინის შევსება. შსს-ს შენობის მიმდებარე ტერიტორიებზე ამოღებული ნარკოტიკების განადგურების სცენები პიარი იყო. რადგანაც ექიმ-ნარკოლოგების მოსაზრებით შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანდა, რომ განადგურების (დაწვის) ჩატარება აირწინაღების გარეშე შეუძლებელი იყო, რადგანაც იმ ოდენობის დასახელების (სახელდებოდა 10 ათასობით ერთეული) დაწვითა და იქიდან ავარდნილი ბოლით მინიმუმ რამდენიმე კაცი მაინც მიიღებდა ტოქსიკურ მოწამვლას (რაც, საბედნიეროდ, არ მომხდარა). განადგურების წინ უნდა შემდგარიყო სპეციალური კომისიები ჯანდაცვის სამინისტროსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომდაგენლების შემადგენლობით. რაც არ ხდებოდა. რა იწვოდა, არავინ იცის — აცხადებენ ექიმ-ნარკოლოგები.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ ნარკომანიასთან ბრძოლის გაძლიერების პერიოდიში ნარკო „შავი ბაზრიდან" ნელ-ნელა განიდევნა ოპიატები, ჰეროინი, ბაზარი მთლიანად დაიპყრო სუბოტექსმა. ცხადი იყო, რომ პრეპარატს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები მფარველობდნენ. ეს იყო უდიდესი ბიზნესი. საფრანგეთში, სადაც აღნიშნული მედიკამენტი მზადდებოდა, ერთი ფირფიტა 5-7 ევროს შორის მერყეობდა, ჩვენთან კი ერთი აბი 200 ლარამდე ფასობდა. მერაბიშვილის მოჩვენებითი მიმართვა საზოგადოებისადმი დახმარების თაობაზე და რეალიზატორისათვის 1 000 ლარამდე ჯილდოს დაწესება, ანალიტიკოსებმა შემდგომ ახსნეს, როგორც წინასწარ განზრახული მზაკვრული ნაბიჯი.

ხელისუფლებას სურდა შემოსული ინფორმაციების მეშვეობით დაედგინათ, ხომ არ მუშაობდა ამ პრეპარატზე მათს გარეშე ვინმე. ამ განცხადებისთვის მეორე კურდღელსაც იჭერდნენ — ამოწმებდნენ იყო თუ არა გაშიფრული მათი დილერი რეალიზატორი და ა. შ.

ეს ბაკქანალია გრძელდებოდა მანამ, ვიდრე თურქეთში, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოზე ტრანზიტით გამავალი ნარკოტიკების დიდი პარტიები არ დააკავეს. გაეროს ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ საქართველოს ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოითხოვა ბრძოლის გაძლიერება. ამისთვის სოლიდური თანხებიც გამოიყო. ნაციონალურმა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად კეთილი ინება და საქმეს მიჰყო ხელი, რამაც ასახვა შედეგზეც ჰპოვა. ქართული ბაზრიდან განიდევნა მძიმე ნარკოტიკები (ოპიატები, ჰეროინი, სუბოტექსი), სამაგიეროდ გამოჩნდნენ ჩამნაცვლებლები — ფსიქოტროპული საშუალებები. კუსტარული ნარკომანია საათიაქო ნარკომანიამ შეცვალა, რაც ვერაფრით ვერ აისახა დადებითად საქართველოში ნარკომანთა შემცირების ტენდენციაზე, პირიქით მოხდა.

დღეს მართლაც გამოჩნდა საქართველოს „შავ ბაზარზე" ნარკოტიკები და რაც ყველაზე ხაზგასასმელია — სუბოტექსი. მისი ფასი ბევრად ნაკლებია ადრინდელთან შედარებით.

როგორც ექსპერტები, ანალიტიკოსები ვარაუდობენ, ეს არის წინა, წაგებული რევანშის მცდელობა, ახალ ხელისუფლებას სახელი გაუტეხონ შინ და გარეთ. თუმცა, რევანშისტები ამით ცუდს იმდენად მათ მემკვიდრე ხელისუფლებას კი არ უკეთებენ, არამედ საკუთარ ხალხს.

რაც შეეხება ყოფილ პარლამენტარ გია თორთლაძეს, იგი ხელისუფლებას ვადას თებერვალ-მარტამდე აძლევს და თუ „ოცნების" წინასაარჩევნო დაპირებებიდან შესრულების ტენდენციები კი არა, მიმართულებებიც არ იქნა წარმოჩენილი, იგი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ სერიოზული ღონისძიებების ჩატარებას აპირებს (კონკრეტულად რისი — არ ასახელებს).

ისე კი თორთლაძეს, როგორც ყოფილ ალპინისტს, შევახსენებთ, რომ გაზაფხულზე ყინულის დნობა იწყება, რასაც ზვავები მოჰყვება ხოლმე და ამ შემთხვევაში პოლიტიკურმა ზვავმა ვინმე არ მოიყოლოს ქვეშ.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ ალიან-ჩალიანი

# ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი გვირჩევს

**ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ნილს მუიჟნიეკსი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს წერილით მიმართავს, რომელიც ევროსაბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**



**წერილში კომისარი საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს საქართველოში არასათანადო მოპყრობისა და წამების ამოსაძირკვად ეფექტური ზომების გატარების რეკომენდაციით მიმართავს.**

**— საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს პატიმრებისა და ოფიციალური პირების მიერ დაკავებული სხვა ადამიანების მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებულ შეშფოთებას; გადადგას ეფექტური ნაბიჯები, რათა გააუმჯობესოს ანგარიშვალდებულების სისტემა. აუცილებელია მუდმივი სიფხიზლე წამების სრული აკრძალვის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. მე ვაპირებ ამ საკითხებზე გავამახვილო ყურადღება ჩემს დიალოგში ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მათ შორის საქართველოში ჩემი შემდგომი ვიზიტის დროს, — აცხადებს ნილს მუიჟნიეკსი.**

**ამასთან, კომისარი, იმის აღიარებით, რომ რამდენიმე სწრაფი ზომა იყო მიღებული ციხის სკანდალის საპასუხოდ; ხელისუფლების იმ დაპირების აღნიშვნით, რომ ადამიანის უფლებათა ასეთ დარღვევებს აღარ შეეგუებიან, ხაზს უსვამს — აუცილებელია, ჩატარდეს ეფექტური გამოძიებები, რათა დადგინდნენ და დაისაჯონ თავისუფლებააღკვეთილი პირების არასათანადოდ მოპყრობაზე პასუხისმგებელი პირები.**

**— ამ შეურაცხყოფებში, პირდაპირი დამნაშავეების გარდა, ის ოფიციალური პირები, რომლებმაც დაუკვეთეს ან იყვნენ ინფორმირებულნი ამის შესახებ, უნდა მიეცნენ პასუხისგებაში. ამას უნდა მოჰყვეს დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი სასჯელი, მაგრამ სამართალი არ უნდა იყოს შერჩევითი. გამოძიება და სასამართლო პროცესები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, რათა შენარჩუნებულ იქნას სასჯელაღსრულებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციების ერთიანობა და სანდოობა, — ნათქვამია წერილში.**

**კომისარი ასევე ხაზს უსვამს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვერპლი, მოწმეები და მათი ოჯახები იყვნენ დაცულნი, მათ შორის იმ ოფიციალური პირების შურისძიებისგან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ საქმეებში და უზრუნველყოფილნი იყვნენ იურიდიული დაცვის ადეკვატური საშუალებებით, ისევე როგორც სამედიცინო და ფსიქო-სოციალური დახმარებით.**

**მუიჟნიეკსი აცხადებს, რომ ციხეებში არასათანადო მოპყრობა არ უნდა იყოს განხილული პენიტენციარული სისტემისგან და ზოგადად სისხლის სამართლის პოლიტიკისგან განცალკევებით.**

**— საქართველოს აქვს პატიმრობის ყველაზე მაღალი ინდექსი ევროპაში, რაც გამომდინარეობს ნაწილობრივ წვრილმანი დანაშაულის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის მკაცრი პოლიტიკიდან და გამოტანილი სასჯელის არაპროპორციული ხანგრძლივობიდან. უფრო ჰუმანური და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკა უნდა შემუშავდეს და წინასწარი დაკავებისა და დაპატიმრების მიმართვიანობა უნდა შემცირდეს, — აღნიშნულია ნილს მუიჟნიეკსის წერილში.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# მარტო სიმართლე ვერ დააპურებს ხალხს

**უკვე მერამდენე წელიწადია მწვავე სოციალური გამოსვლები არ წყდება დაპურებულ ევროპა-ამერიკაში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პროტესტით, საზოგადოება ვერაფრით ახერხებს ხელისუფალთა ყურადღების მიპყრობას, თუმცა ეს მხოლოდ ერთის შეხედვით.**

სინამდვილეში ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა და აქედან გამომდინარე სოციალური ცხოვრების გაუარესებამ, ევროპის ქვეყნების არაერთი მთავრობა გაისტუმრა პოლიტიკურ სანაგვეზე, რაც შეეხება აშშ-ის დემოკრატიულ ადმინისტრაციას და პრეზიდენტს - სასწაულად გადაურჩნენ დამარცხებას.

იშვიათი შემთხვევაა, როდესაც უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის და ეკონომიკური მრავალწლიანი ჩავარდნის პირობებში ხალხს, მეორე ვადით აერჩიოს პრეზიდენტი. რომ არა პრეზიდენტობისათვის მებრძოლი რესპუბლიკელი რომნის წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაშვებული უხეში შეცდომები, ძნელი არ იქნებოდა, მომდევნო ოთხი წლით, თეთრი სახლის ბინადრის გამოცნობა.

მსოფლიო რეცესიამ და ეკონომიკურმა სტაგნაციამ სერიოზულად შეარყია კაპიტალიზმის საფუძვლები, მაგრამ უკეთესის არარსებობის პირობებში — მხოლოდ შეარყია. თუ ვინმე დაზარალდა, საზოგადოების საშუალო და დაბალი ფენებია. განსაკუთრებით მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ ახალგაზრდები და საშუალო ასაკს გადაშორებული ადამიანები, პენსიონერები, ვინაიდან ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ, თუ არა ერთადერთ პირობად იქცა სოციალურ სფეროში მკაცრი ეკონომია, სამუშაო ადგილების, ხელფასებისა და პენსიების შემცირება, სხვა არაპოპულარული ღონისძიებების გატარება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ ჩანს შუქი გვირაბის ბოლოს.

გაუჭირდათ ისეთ ქვეყნებსაც კი, როგორებიცაა ევროპის ლოკომოტივად აღიარებული გერმანია, საფრანგეთი, რომ არაფერი ვთქვათ ესპანეთზე, იტალიაზე, საბერძნეთზე.

სოციალურმა პრობლემებმა თავისთავად გამოაღვიძა ჩათვლემილი ნაციონალურ-სეპარატისტული სულისკვეთება, რასაც სერიოზული რყევები შეიძლება მოჰყვეს ევროპის ქვეყნებში. სულ ახლახანს ესპანეთის სამეფოს ავტონომია — კატალონიაში არჩევნები გაიმართა. სეპარატისტებმა მოიგეს არჩევნები, მაგრამ არა იმ უმრავლესობით, როგორსაც ელოდნენ.

კატალონიელები ყოველთვის აცხადებდნენ, რომ — „ჩვენ სხვები ვართ, ჩვენ არ ვართ ესპანელები. კატალონია ესპანეთი არ არის და არც ესპანეთია კატალონია“. მაგრამ მათი განცხადებები ძირითადად შემოიფარგლებოდა ესპანეთის შემადგენლობაში მეტი უფლებების მოპოვებით.

დღეს სხვა ვითარებაა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მტკივნეულად იმოქმედა ესპანეთზე. მკაცრი ეკონომიის პირობებში, რომელიც შემოიღო ესპანეთის კონსერვატიულმა სახალხო პარტიამ, ერთობ მძიმედ იგრძნო თავი წარმატებულმა კატალონიის ავტონომიამ. მისმა ვალმა ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში 44 მილიარდი ევრო შეადგინა.

ამას კატალონია მიაწერს მადრიდის მიერ ფინანსების არასამართლიანად განაწილებას. კატალონიელთა აზრით, ავტონომია, სხვა 16 ავტონომიასთან შედარებით, ყველაზე მეტს აძლევს ესპანეთის ბიუჯეტს, მაგრამ უბრუნდება ცოტა, ვინაიდან ფული ნაკლებად განვითარებულ ავტონომიებს ხმარდება. კატალონიელები დარწმუნებული არიან, რომ ესპანეთიდან გამოყოფის შემთხვევაში ისინი გაცილებით უკეთ იცხოვრებენ.

ექსპერტების აზრით, მსოფლიო ეკონომიკური ტემპის შენელებას და სოციალური პირობების გაუარესებას ხელს უწყობს ისეთი ფაქტორიც, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება. გაეროს კვლევის მიხედვით, სათაურით: „სიბერე 21-ე საუკუნეში, ტრიუმფი და გამოწვევა“ - საზოგადოების დაბერება მრავალ პრობლემას ქმნის. ავტორთა მიხედვით, ტრიუმფი გამოიხატება იმაში, რომ ცხოვრების საერთო გაუმჯობესებისა და მედიცინის განვითარების პირობებში გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა, თუმცა ამან გამოიწვია ხანდაზმული ასაკის ადამიანთა რაოდენობის გაზრდა, რამაც შექმნა ეკონომიკისა და სოციალური დარგის პრობლემები.

> **კაცობრიობა კატასტროფული სისწრაფით ბერდება. ერთ წამში დედამიწის ორი ადამიანი აღნიშნავს მესამოცე წლისთავს. ერთი წლის განმავლობაში 60-წლიანთა არმიას 58 მილიონი ადამიანი ემატება. 21-ე საუკუნის 12 წლის განმავლობაში 178 მილიონი ხანდაზმული შეემატა მსოფლიოს, ანუ იმდენი, რამდენიც ცხოვრობს პაკისტანში.**

კაცობრიობა კატასტროფული სისწრაფით ბერდება. ერთ წამში დედამიწის ორი ადამიანი აღნიშნავს მესამოცე წლისთავს. ერთი წლის განმავლობაში 60-წლიანთა არმიას 58 მილიონი ადამიანი ემატება. 21-ე საუკუნის 12 წლის განმავლობაში 178 მილიონი ხანდაზმული შეემატა მსოფლიოს, ანუ იმდენი, რამდენიც ცხოვრობს პაკისტანში.

მონაცემების მიხედვით, დედამიწის ხანდაზმულთა რაოდენობა 810 მილიონს შეადგენს ანუ 11.5%. ექსპერტთა აზრით, 2020 წლისთვის მათი რაოდენობა მილიარდს მიაღწევს. სტატისტიკის მიხედვით, 60 წლის ადამიანთაგან მხოლოდ ნახევარზე ნაკლები მუშაობს, ვინც არ მუშაობს საზოგადოებამ უნდა არჩინოს, ანუ მისცეს პენსია. გარდა ამისა, საჭიროა მათი სამედიცინო უზრუნველყოფა.

ხანდაზმულ ადამიანთა 47%-ი ინვალიდია. სახელმწიფოს ფინანსური რესურსები, განსაკუთრებით კრიზისის დროს, ერთი-ორად მცირდება, ეს კი პირდაპირ მოქმედებს პენსიონერებზე.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ იზრდება ცხოვრების ხანგრძლივობაც. განვითარებულ ქვეყნებში ის 78 წელს შეადგენს, განვითარებადში — 68-ს. გაეროს მიხედვით, 2050 წლისათვის შესაბამისად გაიზრდება აღნიშნული მონაცემები — 83 და 74. ხანდაზმულ ადამიანთა რაოდენობამ იაპონიაში საერთო მოსახლეობის 30% შეადგინა. საუკუნის შუაწელზე იაპონიის მსგავსი მონაცემები ექნება მსოფლიოს 64 ქვეყანას. რაც შეეხება 100-წლიან ადამიანებს — დღევანდელი 316 ათასისა, 2050 წლისათვის 3.2 მილიონი იქნება.

წლების მატებასთან ერთად, სამწუხაროდ, იზრდება დაბალი მატერიალური უზრუნველყოფა, სუსტი სოციალური დაცულობა, შეზღუდული შესაძლებლობა მაღალხარისხიან მედიკამენტებზე. იმისთვის, რომ მოხუცები ტვირთად არ დააწვნენ ახალგაზრდებს — ქვეყნები სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავენ. **მაგალითად, ბრაზილიამ 2003 წელს მიიღო კანონი — მოხუცთა უფლებების დაცვის თაობაზე, რომელიც მათ ახალგაზრდა ასაკთან შედარებით პრივილეგირებულად მიიჩნევს სამსახურში მიღების დროს, უარყოფს 60 წლის ასაკში პენსიაზე გასვლის აუცილებლობას, იძლევა შესაძლებლობას ნახევარ ფასებში კინოს, თეატრის, კონცერტის ბილეთების შეძენაში, აგრეთვე საზოგადო ტრანსპორტში უფასო მგზავრობაში.**

> **და გაჩნდა ამერიკაში „ნასწავლი“ თინეიჯერი მინისტრები, სახელმწიფო მოხელეები, კანონმდებლები. ახალ პარლამენტში 21 წლის სტუდენტი გოგონაცაა.**
>
> **ბავშვებს წაართვეს ბავშვობა. ისინი ნაადრევად დააბერეს. ხელოვნურად გააახალგაზრდავეს კორუპციაც. თვალი გადაავლეთ დღევანდელ დაჭერილ ახალგაზრდა მაღალჩინოსანთა სიას და უმალ დარწმუნდებით ეკონომიკური დანაშაულის გათინეიჯერებაში.**



გაეროს გათვლით, თუ მოსახლეობის დაბერების ტემპმა არ იკლო 2020 წლისათვის, სახელმწიფოები უდავოდ აღმოჩნდებიან სახელმწიფო ვალის წინაშე (საერთო ეროვნული შემოსავლის 50%). საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოუწოდებს ქვეყნებს, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად, გაზარდონ პენსიაზე გასვლის ასაკი, წაახალისონ ისინი, ვისაც პენსიაზე გასვლის სურვილი არ აქვთ. „თუ არ გაიზარდა საპენსიო ასაკი, სახელმწიფოები ვერ გაართმევენ თავს იმ დატვირთვას, რაც ეკონომიკას ექნება“, — განაცხადა სავალუტო ფონდის დირექტორმა კრისტინ ლაგარდმა.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ნათლად მეტყველებენ კაცობრიობის წინაშე არსებულ პრობლემებზე და, აქედან გამომდინარე, მათი დაძლევის გზებზე. სამწუხაროდ, საქართველოს წინა ორი ხელისუფლების წყალობით ქვეყანა ვერა და ვერ გაერკია საკაცობრიო ცხოვრებაში. ისე მოხდა, თითქოს საქართველო დედამიწაზე კი არა, სხვა გალაქტიკაში, სხვა პლანეტაზე მდებარეობდეს.

ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისგან განდგომა განსაკუთრებით სააკაშვილის მმართველობის დროს აღინიშნა. არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა: რომ 40 წელს გადაშორებული ადამიანი სამსახურიდან დაეთხოვოთ შემდეგი საბაბით — „40 წლის ხეც არ გვინდა, არათუ ადამიანი“.

**მსოფლიოში არნახულმა ამ ანტიჰუმანურმა გამოგონებამ ხერხემალში გადატეხა ისედაც, შევარდნაძის მმართველობით დასუსტებული ქვეყანა. თუნდაც მიზერულ შემოსავალს მოკლებული ადამიანები ქრონიკულ სადარდებელში მოაქცია, რაც ბევრი მათგანისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. უსახსროდ დარჩენილი, „ნაადრევად გაპენსიონერებული“ თაობის ნაწილი საიქიოს აღმოჩნდა, ნაწილი — ბაზრობებზე. დაიკარგა პროფესიონალთა არმია, რომელთა აღზრდა სახელმწიფოს მილიონობით მანეთი დაუჯდა.**

**ძველი კადრები თინეიჯერი გოგო-ბიჭებით ჩანაცვლდა — გამოუცდელებით, უცოდინარებით, მაგრამ თავხედობით გამორჩეულებით. ყოველივე ამან გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკის ნგრევა, მთელი რიგი დარგების გაუქმება, არაპროფესიონალიზმის ზეობა, სხვა ისეთი ნეგატიური შედეგები, რომლის გამოსწორება უაღრესად მძიმე საქმე იქნება. მას ათეული წელი დასჭირდება.**

ხანდაზმული საზოგადოების (სწორედ ასეთია საქართველო) ხელოვნური გაახალგაზრდავება მხოლოდ პოლიტიკური მოთხოვნის შედეგი იყო, რასაც სტრატეგიული პარტნიორიც უწყობდა ხელს. მავანი შემედავება — რა შუაშია ამერიკაო. შუაში კი არა, თავშია. სწორედ მას სურდა საქართველოში იმ ასაკის ახალგაზრდების აღზევება, ვისაც წარმოდგენა არ ჰქონდა წინა ცხოვრებაზე და ვინც „ამერიკული ოცნების“ პერიოდში გაიზარდა.

**არ ეკადრება დიდ ამერიკას პატარა ერისთვის ესოდენ რეაქციული ექსპერიმენტის თავსმოხვევა.**

**და გაჩნდა ამერიკაში „ნასწავლი“ თინეიჯერი მინისტრები, სახელმწიფო მოხელეები, კანონმდებლები. ახალ პარლამენტში 21 წლის სტუდენტი გოგონაცაა.**

**ბავშვებს წაართვეს ბავშვობა. ისინი ნაადრევად დააბერეს. ხელოვნურად გააახალგაზრდავეს კორუპციაც. თვალი გადაავლეთ დღევანდელ დაჭერილ ახალგაზრდა მაღალჩინოსანთა სიას და უმალ დარწმუნდებით ეკონომიკური დანაშაულის გათინეიჯერებაში.**

**25-30 წლის გოგო-ბიჭები ისე ეთამაშებიან მილიონებს, თითქოს არაფერიაო. ივანიშვილი ყველას ვერ დაიჭერს, არადა მილიონებნაჭამი თინეიჯერი სამარადისო წურბელად იქცევა უბედური ქვეყნისთვის.**

შემაძრწუნებელია ასეულ-ათასობით დოლარ-ევროთი ჯიბესავსე თინეიჯერთა ლას-ვეგასსა და სხვა ეგზოტიკურ ქალაქში სალაღობო ხუნტრუცი — თითქმის მილიონამდე მიზერული პენსიის მქონე მოქალაქეთა ფონზე. მაგრამ რა გაეწყობა — რეალობაა.

(ცნობისათვის გაუწყებთ მინიმალური პენსიის ოდენობას: საფრანგეთში 1424 დოლარი, გერმანიაში — 1154, აშშ-ში — 820, დიდ ბრიტანეთში — 704, რუსეთში — 275. შესაბამისად საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა: 81, 79, 78, 79, 66 წელი და საპენსიო ასაკი: 60/60, 65/65, 67/67, 65/60, 60/55.)

**სწორედ ამ რეალობის დანგრევისა და შეურაცხმყოფელი არსებობის საწინააღმდეგოდ ამოიღო ხალხმა ხმა პირველ ოქტომბერს. მან ძველის საწინააღმდეგოდ, მხარი ახალს დაუჭირა. მოლოდინი დიდია, იმაზე მეტი, რასაც გამარჯვებული „ოცნება“ ფიქრობს. ამდენად მის მიერ გადადგმულ ნახევარნაბიჯსაც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ.**

როგორც ჩანს, ხალხმა დაკარგა მოთმინება და საკუთარი წარმატების ნაყოფის ნაადრევი დამწიფების სურვილი აქვს, რაც გამოკვეთილად გაისმის ქუჩაში, ტრანსპორტში, სახლში, სხვაგან. ცხადია, ხალხი იმითაც კმაყოფილია, რაც ივანიშვილმა გულწრფელად თქვა — „ამ ეტაპზე ენერგომატარებლებზე გადასახადის განახევრება შეუძლებელიაო“. მაგრამ ერთია გულწრფელობა და მეორეა დაპირება — ლეიტმოტივად რომ გასდევდა საარჩევნო მარათონს.

**საქართველოს უნიკალურობა კიდევ ერთხელ დამტკიცდა, ამჯერად ახალი ხელისუფლების მიერ: „ვერ გავაკეთებო“ თქვა მან უმალ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე. უმრავლესობა სახელისუფლებო განცხადებას ხელისუფლებაში მოსვლიდან სამ თვეში აკეთებს.**

გადასახადებისა არ იყოს, ერთობ ჩახლართული საპენსიო პროგრამაც მოვისმინეთ, რამაც მთლად „გადააჩიჩინა“ ხალხი. რა გაეწყობა **სააკაშვილის ტყუილს, ივანიშვილის სიმართლე სჯობს, მაგრამ მარტო სიმართლე ვერ დააპურებს ხელგამოწვდილ ხალხს**. კარზე მომდგარი ზამთრის გადატანა მარტო სიმართლით გაჭირდება. როგორც ჩანს ყბადაღებული „პროფესიონალიზმის“ პრობლემა „ოცნების“ ბანაკშიც ჩვეულებრივი რამ არის, თუმცა, გასაკვირი არაფერია - მათი დიდი ნაწილი ხომ სააკაშვილთან „მოღვაწეობდა“, მანამდე „სახელგანთქმულ“ თავისუფლების ინსტიტუტში.

„თუ პენსიებს ვერ ზრდის და ენერგომატარებლებზე გადასახადებსაც ვერ ამცირებს, ის მაინც გააკეთოს მინისტრებს, პარლამენტარებს, სხვა მაღალჩინოსნებს ხელფასები შეუმციროს და გამოთავისუფლებული ფული ხალხის კეთილდღეობას მოახმაროსო“, - ამბობს ხალხი.

**საზოგადოებას ხიბლავს საფრანგეთის პრეზიდენტის ოლანდის მიერ გადადგმული ნაბიჯები. მან კაბინეტში შესვლის პირველსავე დღეს 30%-ით მოიკლო ხელფასი. ასე მოიქცა ყველა მისი მინისტრი.**

ის, რაც სააკაშვილისთვის მისაღები იყო — გაძვალტყავებული ქვეყნის ფონზე, სახელმწიფო მოხელეთა უზომო ხელფასები და ასეთივე უზომო, ყოველთვიური პრემიები, ახალი ხელისუფლებისთვის მიუღებელი უნდა იყოს. სოციალური სამართლიანობა უმთავრეს მოთხოვნად უნდა გადაიქცეს ივანიშვილის გუნდისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ 1 ოქტომბერს გამოვლენილი ნდობა გაფერმკრთალდება. მაგრამ არის თუ არა შესაძლებელი სოციალურ სამართლიანობაზე ლაპარაკი მილიარდერთან?

ერთხელ, საბჭოთა კავშირის დროს, დარბაზიდან, პირდაპირ ტრიბუნაზე ასულმა მავანმა, დარბაზს, ხუმრობით უთხრა — „აქედან რა გამოთაყვანებულები ჩანხართო“.



9 წლის განმავლობაში მაღალ სახელმწიფო ტრიბუნაზე მოხვედრილმა სააკაშვილმა გამოთაყვანებულად ჩათვალა ერი, რითაც თავსაც ავნო და ქვეყანასაც. შეძლებს თუ არა ახალი მმართველი ძველი მანკიერების აღმოფხვრას — მხოლოდ მის მიერ გაკეთებული საქმენი საგმირონი დაგვანახვებს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აჟიოტაჟული იმედი

# უანგარობიდან ანგარებამდე

## ანუ ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს

### შესავლის მაგიერ

დიდი პოეტები წინასწარმეტყველებიც არიან.

მათი წინათგრძნობა შეიძლება, სრულიად მოულოდნელად გამართლდეს.

„წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის, კარგა ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი“ –წერდა მუხრან მაჭავარიანი და იქვე დასძენდა: „წესი და რიგი, ყოველივე რაც კია ირგვლივ, მყის შეიცვლება, გამოჩნდება როგორც კი იგი“.

გამოჩნდა.

შეიცვალა.

ეს მოხდა მოულოდნელად.

„იმ კაცისთვისაც“ მოულოდნელად.

რა თქმა უნდა, ღვთის ნებით.

ეს უკვე მეორე დიდმა პოეტმა იწინასწარმეტყველა: „გადაიწურავ ნურც ახლა იმედს, არსება შენი ღმერთმა ინება, ის მოვა ისევ, მოგეახლება, შენს ბედკრულ გზაზე მოგევლინება“.

ცხადია, „ის“ უფალია, ის კაცი – უფლის გამოგზავნილი.

საინტერესოა, რას იტყოდნენ ანა და მუხრანი, ამ „პოლიტიკურ მიწისძვრას“ (თინა ხიდაშელის ტერმინი) რომ მოსწრებოდნენ. თუმცა, ისინი ხომ ყველაფერს ესწრებიან, საქართველოს სხვა თანამდევი უკვდავი სულების მსგავსად.

. . . . .

ექვსი წლის წინათ, 50 წლის ბიძინა ივანიშვილს საიუბილეო კრებულს რომ ვუძღვნიდით, მე და ჩემი მეგობარი (ამასთანავე, კოლეგა) ნუგზარ სხირტლაძე ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ ექვსი წლის შემდეგ ის პრემიერ-მინისტრად მოგვევლინებოდა.

დარწმუნებული ვარ, ამას მაშინ თავადაც ვერ წარმოიდგენდა.

მაშინ ბიძინა ივანიშვილს, როგორც ქველმოქმედსა და მეცენატს, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი „ოქროს ფრთით“ აჯილდოებდა და კრებულიც ამას მიეძღვნა.

იმ დროს ბიძინა ივანიშვილი თვალითაც არ გვყავდა ნანახი და მეც და ნუგზარიც (წიგნის თანარედაქტორები) ამას სრულიად უანგაროდ ვაკეთებდით.

ნუგზარ სხირტლაძეზე უფრო უანგარო ადამიანი ცხოვრებაში არც შემხვედრია.

საჩხერის რაიონის მკვიდრს, ვისაც სახლ-კარი მიწისძვრამ მთლიანად გაუნადგურა, სამი შვილის მამას,უკიდურესად გაჭირვებულს, დღენიადაგ ჩასჩიჩინებდნენ, როგორმე მოეხერხებინა ივანიშვილამდე მისვლა, მაგრამ ეს ნაბიჯი ვერ გადაადგმევინეს.

დღეს ჩემზეა მსგავსი შემოტევა.

არადა, როგორ მინდა, დღესაც უანგარო ვიყო, უანგაროდ მიხაროდეს ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლა და მისგან არაფერს ვითხოვდე.

დღეს პირველად შემშურდა ჩემი განუყრელი მეგობრის – ნუგზარს შეუძლია, კვლავაც უანგარო დარჩეს, მე კი ამის უფლება არა მაქვს: ის გაზეთ „თბილისის“ რიგითი თანამშრომელი იყო, მე კი – რედაქტორი.

ამიტომაც ვალდებული ვარ, საქართველოს ახალ პრემიერ-მინისტრს მივმართო და გაზეთ „თბილისის“ აღდგენა ვთხოვო.

**ბატონო ბიძინა,**

**სულ ახლახან ზაალ სამადაშვილმა ბავშვობის მოგონებებზე დაფუძნებული ჩანახატები გამოაქვეყნა. იქ ერთი ასეთი ფრაზა იყო:**

**„სადაც დიდუბისა და ნაძალადევისკენ მიმავალი ტრამვაები ჩერდებოდნენ და პატარა კიოსკში საღამოს გაზეთი „თბილისი“ იყიდებოდა.**

**გულმა რეჩხი მიყო. მეგონა, ამ ფრაზას სინანულიც მოჰყვებოდა იმის გამო, რომ თბილისში „თბილისი“ აღარ გამოდის. თუმცა, მის დახურვაში ბატონ ზაალს პირადი წვლილი არ მიუძღვის, ეს წინა საკრებულოს „დამსახურებაა“, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საკრებულოს თავმჯდომარედ მოსვლის შემდეგ, „თბილისის“ ბედით არ დაინტერესებულა, ალბათ, იმიტომ, რომ იცოდა: ეს საკითხი „ზემოთ“ იყო გადაწყვეტილი.**

**რამდენიმე კვირის წინათ მას ღია წერილით მივმართე, მაგრამ ჯერჯერობით სრული მდუმარებაა.**

**ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ზემოთ“ მიღებული გადაწყვეტილება ისევ „ზემოთ“ უნდა შეიცვალოს.**

**ამას წინათ ელისო ჩაფიძემ ტელევიზიით განაცხადა, ტყიბულში გაზეთი უნდა აღვადგინოთო.**

**უდავოდ, სწორი გადაწყვეტილებაა.**

**რაიონს უეჭველად სჭირდება თავისი გაზეთი.**

**დედაქალაქს – მით უმეტეს.**

**თავის დროზე, როცა გაზეთ „თბილისს“ დაფინანსება შეუწყვიტეს, ბატონმა რეზო ესაძემ დაწერა: „შეიძლება, თბილისში რუსთაველის პროსპექტი არ იყოს? ასევე არ შეიძლება, თბილისში „თბილისი“ არ გამოდიოდეს“.**

**კულტურის გამოჩენილმა მოღვაწეებმა პრეზიდენტსაც მიმართეს, მაგრამ მათ სიტყვას ყური არავინ ათხოვა.**

**საღამოს გაზეთი „თბილისი“ დედაქალაქის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, გნებავთ, მისი ერთ-ერთი კოლორიტი იყო.**

**„თბილისის“ დახურვა ბოლო წლებში ჩადენილი ერთ-ერთი უსამართლობაა.**

**ამ უსამართლობის გასწორება კი მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.**

ღრმა პატივისცემითა და იმედით,

**იოსებ ჭუმბურიძე**

## სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიერ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის შესახებ განცხადებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2012 წლის 17 ნოემბრის №222 ნომერში გამოქვეყნებული განცხადების პირველ პუნქტში, კერძოდ:

**„I. განცხადებების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა, განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიის მიერ **2012 წლის 10 დეკემბრიდან 24 დეკემბრამდე,** ყოველდღე (დასვენების დღეებისა და შაბათ-კვირის გარდა), $10^{00}$ საათიდან $15^{00}$ საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №221, ტელ.: 27 63 94.

**კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 25 დეკემბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით,** ხოლო შედეგები გამოქვეყნდება **არაუგვიანეს 2013 წლის 3 იანვრისა** შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.bsu.edu.ge

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება **2013 წლის 5 იანვრიდან.“**

## სსიპ - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში – უნივერსიტეტი/ბსუ) აცხადებს ღია კონკურსს **2015 წლის 10 ივნისამდე** ვადით სამეცნიერო ცენტრში ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების მიმართულებით შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

ა) მეცნიერი თანამშრომელი (მცენარეთა გენეტიკა) – 1 (ერთი) საშტატო ერთეული (ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილება);

ბ) მეცნიერი თანამშრომელი (მოლეკულური ბიოლოგია, დიაგნოსტიკა) – 1 (ერთი) საშტატო ერთეული (მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილება);

**I. განცხადებების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები**

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიის მიერ 2013 წლის **3 იანვრიდან 11 იანვრის ჩათვლით,** ყოველდღე (დასვენების დღეებისა და შაბათ-კვირის გარდა), $10^{00}$ საათიდან $15^{00}$ საათამდე, შემდეგ მისამართზე: ბსუ-ს სამეცნიერო ცენტრის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების მიმართულება, ოთახი №44, ტელ.: 28 76 27; 593 93 34 25;

1.2. კონკურსი ჩატარდება **2013 წლის 14 იანვრიდან 18 იანვრის ჩათვლით,** ხოლო შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს **2013 წლის 18 იანვარს,** შესაბამისი მიმართულების საინფორმაციო დაფაზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.bsu.edu.ge კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება **2013 წლის 21 იანვრიდან;**

**II. საკონკურსო პირობები**

2.1. კონკურსის ძირითადი პირობები: მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

2.2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები გაიცემა საპროცედურო კომისიის მიერ), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

ბ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);

გ) 2 ც. ფოტოსურათი, 3X4.

დ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომი;

2.3. მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია, დამატებით წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, ხოლო სასურველია, ფლობდეს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიაში საქმიანობის უნარ-ჩვევებსა და უცხო ენას (ინგლისურს).

2.4. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამეცნიერო თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის გამოსავლენად გაითვალისწინება აგრეთვე:

ა) კვლევისათვის სახსრების მოძიების გამოცდილება (სამეცნიერო და სასწავლო გრანტები და საერთაშორისო პროგრამები) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) კონკურსანტის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული წიგნები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, საცნობარო ლიტერატურა) და სამეცნიერო პუბლიკაციები;

გ) წიგნების (კრებულების/ჟურნალების) რედაქტორობა, რეცენზენტობა და რედკოლეგიის წევრობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

დ) პატენტი (საავტორო მოწმობა) (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ე) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციების (სიმპოზიუმები/კონგრესები/სესიები) ორგანიზება/მონაწილეობა;

ვ) დაცული დისერტაციების და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, კონსულტანტობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)

ზ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები (ბოლო 5 წლის განმავლობაში).

**III. კონკურსის ჩატარების წესი**

3.1. კონკური ჩატარდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონების, ბსუ-ს წესდების და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ საფუძველზე.

**სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო**

ინფორმაცია

## მერიის სამსახურების თანამშრომლებს ხელფასები 20%-ით გაეზრდებათ

**ეს დედაქალაქის 2013 წლის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული. – თბილისის მერიის დაქვემდებარებაში და დაფინანსებაში მყოფ ყველა უწყებაში დაგეგმილია 20%-იანი სახელფასო ზრდა. აქ იგულისხმება ის კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის მუნიციპალურ სერვისებს.**

**ეს არის: საბავშვო ბაღები, სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, დასუფთავების სამსახური და მასში შემავალი ყველა რგოლი – დაახლოებით 3 ათასი ადამიანი, თბილისის სატრანსპორტო კომპანია, სადაც 5 ათასამდე ადამიანი მუშაობს, ასევე თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, – განაცხადა თბილისის მერმა გიგი უგულავამ ბიუჯეტის პროექტის განხილვისას.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## „ლაზარე“ – ახალი გაერთიანება

# საჭიროა ეროვნული ალტერნატივა...

**ეს წერილი, გარკვეულწილად, გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული ჩემივე სტატიის, „გაგებით შეხვდით, სამართალი მოდის“ და ქალბატონ ნანა დევდარიანის „იძებნება ოპოზიცია“ გაგრძელებადაც შეიძლება ჩაითვალოს...**

მართლაც პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა ქართულ პოლიტიკაში 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ – „ქართული ოცნება“ „უმრავლესობაა პარლამენტში“ (მართალია, არა იმ უპირატესობით, რაც რეალობასთან ახლოს იქნებოდა), ხოლო ნაცმოძრაობა 40%-იან უმცირესობაში, რაც ასევე არ ასახავს რეალობას. სიტუაციის პარადოქსულობა კი იმაშია, რომ მიუხედავად ოპოზიციის მაღალი პროცენტით არსებობისა, რეალურად არ მიმდინარეობს ჯანსაღი, კონსტრუქციული ოპონირება, რაც ნებისმიერი საზოგადოების წინსვლის საწინდარია!

საუბედუროდ, ასეთი რამ, ჯანსაღი ოპონირება, კამათი, არც მომავალში იქნება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცბანდის „მოღვაწეობა“ პარლამენტსა თუ მის გარეთ, ოდენ რევანშისტული ქმედებებია, არამედ იმიტომაც, რომ საპარლამენტო ოპოზიციას გაზის თუ დენის ტარიფებზე, ერთი სიტყვით, სოციალურ თემატიკაზე პოპულისტური ვაი-ვიშის გარდა, მათ, ერთმანეთთან სხვა, იდეოლოგიური საფანელის მქონე საკამათო არაფერი, ან თითქმის არაფერი აქვთ.

ციტატა: „მათი მთავარი საპროგრამო დებულებები ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ორივენი ნატოს ეტრფიან, ორივენი ევროკავშირის დროშებს აფრიალებენ, ორივე ლიბერალური დემოკრატიის ხიბლშია, მეტნაკლები ლიბერტარიანელობით“. როგორც იტყვიან, ორივე ხელით ვეთანხმები ქ-ნი ნანა დევდარიანის შეფასებებს...

აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, თუ რატომ ცდილობდა და დღესაც ცდილობს აშშ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, როგორმე შეინარჩუნონ პარლამენტში მათივე „გამოწერილი“ ნაცბანდის 40 %. საკუთარი სახის შენარჩუნებას ცდილობენ? ალბათ, არც ასეთი „ლირიკული“ თემის გამორიცხვა შეიძლება. თუმცა, მთავარი მიზანი ამერიკელებისა, ერთობ პროზაულ-პრაგმატულია – მეოცნებეები გაიმარჯვებენ თუ ნაცების რევანში შედგება ამ ჭიდილში, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი იგივე დარჩება – „ნატო-ნატოს“! უტოპიური ძახილი, რაც საკუთარი ხალხის „დაბოლებაა“, რეალურად კი, სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის გეოსტრატეგიული გავლენების შენარჩუნება-გაძლიერება და რაც არც თუ უმნიშვნელოა ჩვენი „მთავარი სტრატეგიული მოკავშირისთვის“, ქართული საზარბაზნე ხორცი არ მოაკლდებათ ავღანეთში!

აქედან გამომდინარე, იმ ზემოთ თქმული „რადაც არ უნდა დაუჯდეთიდან“ იყო, რომ ამერიკის ახალი ელჩი რიჩარდ ნორლანდი, როლანდ ახალაიას დასაცავად ჩაბრძანდა ზუგდიდში – რომ არა ამერიკის ადმინისტრაციის სისხლხორცეული დაინტერესება, როგორმე უზრუნველეყოთ ნაცბანდის სოლიდური წარმომადგენლობა პარლამენტში, სხვაგან სადმე გინახავთ, რომ აშშ-ს ელჩები საარჩევნო უბნებზე დადიოდნენ?

ამ და სხვა ქმედებების გამო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფრანგულ „ფიგაროსა“ და ამერიკულ „ვაშინგტონ პოსტში“, ლამის ერთდროულად გამოქვეყნდა ერთმნიშვნელოვნად ქართული ოცნების განმაქიქებელი სტატიების სერია, დიახაც იმ ფასად დაუჯდათ, რომ ქართველი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში თუკი რამ იყო დარჩენილი პროამერიკულ-დასავლური, ისიც ჩაკვდა. რადგანაც, გოკა გაბაშვილის „მახვილგონიერების“ საწინააღმდეგოდ, „ასავალ-დასავალში“ ნამდვილად არ გვერევა „ფიგარო“ თუ „ვაშინგტონ პოსტი“ და ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ მსგავს ავტორიტეტულ გამოცემებში დაბეჭდილი სარედაქციო წერილები, ევროპა-ამერიკის კონკრეტული, გადაწყვეტილებების მიმღები პოლიტიკური ძალების ხედვაა და არა მხოლოდ სააკაშვილის ლობისტების უსაგნო ბჟუტური!..

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ბიძინა ივანიშვილმა, პირველად ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საკადრისი მკვეთრი პასუხი გასცა დასავლეთის ამ მედიაგამოხდომას, რაც ქართველმა საზოგადოებამ დაუფარავი კმაყოფილებით მიიღო, რადგანაც ის წერილები პირველ რიგში ქართველი ხალხისთვის სილის გაწვნა იყო და მხოლოდ შემდეგ, „ქართული ოცნების“ მიმართ „დაუკრეფავში გადასვლა“...



ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, აშკარაა ეროვნული ალტერნატიული ძალის აუცილებლობა და არა მხოლოდ პოლიტიკური მიმართულებით.

სასწრაფოდ არის შესაქმნელი ახალი, პირველ რიგში ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებების დამცველი პოლიტიკური პარტია, რომელიც, ჯერჯერობით, პარლამენტს გარეთ იმოქმედებს და ვადიან თუ ვადამდელ არჩევნებზე საკუთარ თავს, რაც უმთავრესია, ახალ სახეებს შესთავაზებს ამომრჩეველს, როგორც არსებული ხელისუფლებისა თუ ოპოზიციისგან შინაარსობრივ-იდეოლოგიურად განსხვავებულ ალტერნატივას;

იგივე მიმართულებით უნდა გაძლიერდეს ეროვნული ფასეულობების დამცველი მედიაც და აქაც ახალი სახეები უნდა წარმოჩინდეს იმ გაგებით, რომ, მოყირჭებული პოლიტიკური „ფეისების“ მსგავსად, საზოგადოებას მედია სახეებიც მობეზრდა. გვარებს არ დავასახელებ, რადგან საზოგადოება ელემენტარულად ტელევიზორის ჩართვითაც მიხვდება, თუ ვისზეა საუბარი – დღე ერთია და სხვადასხვა თოქ-შოუებში, როგორც ხაშლამის „ბლუდო“ ქელეხში, ერთი და იგივე მედია ექსპერტები, ჟურნალისტები თუ პოლიტოლოგები, „ჩამოტარებით“ არიან „მაესტრო“-„კავკასია“-„მეცხრე არხზე“. თითქოს მათ გარდა, აღარავინ ვიყოთ ( დიახ, ყალბი თავმდაბლობის გარეშე, სწორედაც, რომ „ვიყოთ“ ქართულ მედია სივრცეში);

იგივე უნდა გაკეთდეს, ე.წ. არასამთავრობო სექტორში – ბოლოს და ბოლოს უნდა ჩამოყალიბდეს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს, ქართველი ერის, საქართველოში ყველა ეროვნების უფლებებს დაიცავს, ვისაც ეს ქვეყანა საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია და არა მუქთა საძოვრად და არა ისე, როგორც მიგვაჩვიეს დასავლეთიდან, მხოლოდ ხლისტების (სექტანტების) და პედერასტების (ლგბტ) უფლებებს რომ იცავენ – უმრავლესობის უფლებებიც არსებობს ამ ქვეყნად, უმრავლესობის, რომელთა უფლებებიც უფრო ხშირად ირღვევა, ვიდრე უმცირესობებისა!

ამ მიმართებით პირველი სასიკეთო ძვრა უკვე სახეზეა – ბატონი რეზო ამაშუკელის თაოსნობითა და მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უკვე დარეგისტრირდა საერთო-სახალხო მოძრაობა „ლაზარე“, რომლის უმთავრესი პრიორიტეტი ქართული, მართლმადიდებლური ღირებულებების დაცვა და პროპაგანდაა!

რაც შეეხება საერთო-სახალხობას, „ლაზარე“ ამ მხრივ მხოლოდ ქაღალდზე დეკლარირებულად არ დარჩება, რის იმედსაც ის იძლევა, რომ მიუხედავად რეკლამის საერთოდ არარსებობისა, ინფორმაციამ „გაჟონა“ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ამ ორგანიზაციაში გაწევრების მსურველთა ზარები არ წყდება.

ისე, ცნობისთვის და გინდაც რეკლამისთვის, „ლაზარეს“ პირველი შეკრება ა.წ. 7 დეკემბერს, 18 საათზე, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის დარბაზში შედგება!

დაბოლოს – ხსენებულ ახალ პარტიაში თუ გაერთიანებაში, ახალ სახეებთან ერთად, ერთი მთავარი პირობა უნდა არსებობდეს – ვინც, არა თუ წევრი ყოფილა, „თავისუფლების ინსტიტუტთან“ ახლოსაც კი გაუვლია, იმ ხალხის ადგილი არ უნდა იყოს ახალ ეროვნულ ალტერნატივაში, რადგან „თავისუფლების ინსტიტუტია“ ის სატანისტური სექტა, სადაც იშვება და გენერირდება ყოველივე ანტიქართული, ანტიეროვნული და სხვათა შორის პარლამენტშიც ბლომად არიან (ნაცებშიც და ოცნებაშიც), ამ ორგანიზაციაში გამოზრდილი გველის წიწილები!..

მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს სასურველ შედეგს, თუ, შეიძლება ითქვას, ეროვნული ალტერნატივის ტრიუმვირატი (პოლიტიკური პარტია, ეროვნული მედია და ეროვნული არასამთავრობოები), თუ მათი ძალისხმევა გაერთიანდება.

რა თქმა უნდა ეს ყველაფერი უფულოდ არ გამოვა და რადგანაც ჯორჯ სოროსი ერთსქესიანი ქორწინების მოწინააღმდეგე პარტიებსა თუ სხვა გაერთიანებებს არ დაგვიფინანსებს, ის დროა, რომ ქართველმა ბიზნესმენებმაც თქვან სიტყვა, ვისაც ქართულად უძგერს გული, ჯიბეზეც ხელი გაიკრან და ქართული სულიერების, მენტალობის გადარჩენის საქმეს მცირედით შეეწიონ...

**დავით მხეიძე**

## ხსოვნა

# კიდევ ერთი ნაჭდევი დიდი სახელის უკვდავყოფის ხეზე

**მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი, სერგი ვავილოვის ოქროს მედლის კავალერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი... არ დარჩენილა საბჭოური ხანის მეცნიერისათვის დაწესებული წოდება, პატივი თუ ჯილდო, წილად რომ არ ხვდომოდა ილია ვეკუას, უთვალსაჩინოეს ქართველ მათემატიკოსსა და მექანიკოსს.**

მსოფლიო აღიარების სულ სხვადასხვა ფორმით გამოხატვაზეც ვთქვათ: იმისი მონოგრაფიები და სხვა შრომები დასტამბულია ბევრ უცხო ენაზე; ის არჩეული გახლდათ გერმანიის (ბერლინის) მეცნიერებათა აკადემიის, საბუნებისმეტყველო აკადემიის „ლეოპოლდინას“ (ქ. ჰალე), პოლონეთის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საზოგადოების, სიცილიის (ქ. პალერმო) მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად, ქ. იენის უნივერსიტეტის საპატიო სენატორად; საზღვარგარეთ, – ევროპის მრავალ ქვეყანაში, აშშ-ში, იაპონიაში მიწვეული იყო ლექციათა ციკლების წასაკითხად, მეცნიერულ კონგრესებზე, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე გენერალური თუ სექციური მოხსენებით გამოსასვლელად, საერთაშორისო მათემატიკური თუ მექანიკური სტრუქტურების პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

მეცნიერული ცნება (ტერმინი) თუ სპეციალურ ლიტერატურაში ვინმეს გვართან „მიბმით“ მკვიდრდება, ეს უკვე უკვდავებაა. მათემატიკურ ლიტერატურაში ვხვდებით „ილია ვეკუას ეკვივალენტობის თეორემას“, „ილია ვეკუას ინტეგრალურ წარმოდგენებს“, „კარლემან (ცნობილი შვედი მათემატიკოსია)-ვეკუას რეგულარიზაციის მეთოდს“, ლიუვილ (ცნობილი ფრანგი მათემატიკოსია)-ვეკუას თეორემას“...



ნოვოსიბირსკის (რუსეთი) სახელმწიფო უნივერსიტეტში არის ილია ვეკუას ბარელიეფი (ბატონი ილია გახლდათ ციმბირში ამ უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობაში დგას ილია ვეკუას ბიუსტი (ბატონი ილია ბრძანდებოდა აკადემიის მეორე პრეზიდენტი დიდი ნიკო მუსხელიშვილის შემდეგ); თბილისში არის ილია ვეკუას ქუჩა; შავი ზღვის ფლოტის ერთ-ერთ გემს ერქვა „ილია ვეკუა“; ჩვენს ეროვნულ აკადემიაში დაწესებულია ილია ვეკუას სახელობითი პრემია...

და აი, ამ შთამბეჭდავ მემორიალურ ნუსხას მიემატა ილია ვეკუას სახელობის კაბინეტი, რომელიც 3 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საზეიმოდ გაიხსნა. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ. დიდ მკვლევარზე, გამორჩეულ პიროვნებაზე, მეცნიერების დაუცხრომელ ორგანიზატორზე, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეზე ილაპარაკეს პროფესორმა დავით გორდეზიანმა, აკადემიკოსებმა ჯუმბერ ლომინაძემ, ნიკოლოზ ვახანიამ, ჟურნალისტმა თამაზ ებანოიძემ. ბატონი ილიას შთამომავალთა სახელით გამოვიდა შვილიშვილი – სეხნია (პროფესიულადაც „სეხნია“), პროფესორი ილია თავხელიძე, რომელმაც საგანგებოდ გადაუხადა მადლობა უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ სერგო ვარდოსანიძესა და ილია ვეკუას მოწაფეს, პროფესორ ჰამლეტ მელაძეს: ეს იმათი განსაკუთრებული მოწადინება და ძალისხმევა იყო, რომ ასეთ სასწავლებელში გვაქვს ილია ვეკუას სახელობის კაბინეტი, რომელიც უთუოდ გადაიქცევა დიდი სახელის უკვდავყოფისა და მათემატიკური მეცნიერების პროპაგანდის კიდევ ერთ კერად.

...გალის რაიონში, სახელგანთქმული ქართველი სწავლულის მშობლიურ სოფელ შეშელეთში გვეგულება ილია ვეკუას სახლ-მუზეუმი, დროებით „აფხაზურ ტყვეობაში“ მყოფი. იმედია, იქაურებმა იციან ამ სახელ-გვარის ფასი და ღირსეულად ინახავენ სახლს სამომავლოდ...

**ლუკა გორგაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს მაგიდასთან მოსალაპარაკებლად იწვევს



„თუ აღმოვჩნდებით იზოლაციაში პოლიტიკური გაურკვევლობის გამო, მაშინ ევროპისკენ ვეღარ წავალთ, გავხდებით ავანტიურების რუსი მძებნელების იოლი ნადავლი“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ჩვენთან ინტერვიუში. საქართველოს პრეზიდენტმა მოუწოდა ბიძინა ივანიშვილს, შეწყვიტოს პოლიტიკური დაპირისპირება, წერენ ჟურნალისტები რომან ოლეარჩიკი და ნილ ბაკლი. თუმცა, მან უმალვე ბრალი დასდო ივანიშვილს გამოძიებისა და დაპატიმრებათა ინსპირირებაში.

სააკაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა გადასცეს ივანიშვილის კაბინეტს კონტროლი საშინაო პოლიტიკაზე და ყურადღება გაამახვილოს პოლიტიკაზე. „მან მოუწოდა ივანიშვილს მოაწყოს მოლაპარაკება პირისპირ, რათა მოინახოს ჩიხიდან გამოსავალი“, — აღნიშნავენ ჟურნალისტები.

„ივანიშვილის ვიღაც უღიარებელმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა“ რეაგირება სკეპტიკურად მოახდინა. მან თქვა, რომ ივანიშვილს ეშინია პოლიტიკური დამბლისა და „ეჭვი ეპარება სააკაშვილის უნარში მიისწრაფოდეს კეთილგონიერი თანაარსებობისკენ“.

ვაშინგტონსა და ბრიუსელს არ სურთ, რომ საქართველო გადავიდეს პროდასავლური და პროდემოკრატიული გზიდან, მაგრამ აღიარებენ, რომ ბევრ ქართველს სურს სამართლიანობა, იტყობინება გაზეთი. სააკაშვილმა ინტერვიუში აღიარა, რომ მისი სასამართლო სისტემა არ იყო იდეალური, მაგრამ თქვა, რომ მის დროს ოპოზიციური პარტიების ლიდერს არ აპატიმრებდნენ, ივანიშვილის მთავრობა კი ამაზე შეიძლება წავიდეს ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით. მთავრობა ასევე ახდენს „მთავარ მიღწევათა დემონტირებას“, — აღორძინებს „უწყებებს, რომლებიც კორუფციას ნერგავდნენ“, — თქვა პრეზიდენტმა.

„ჩვენი მოდელი პუტინიზმის ალტერნატივაა — ალბათ, საფრთხის გამო“, — დაასკვნა სააკაშვილმა.

FINANCIAL TIMES

# „ქართულმა ოცნებამ“ გახსნა ექსპრემიერ მერაბიშვილის ყალბი პასპორტის დეტალები

ყალბი პასპორტი, რითაც 30 ნოემბერს საქართველოს ექსპრემიერი ვანო მერაბიშვილი ცდილობდა, წასულიყო ერევანში, მასზე გასცა საქართველოს სამოქალაქო რეესტრმა 2011 წლის 25 აგვისტოს, განაცხადა ოთხშაბათს „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ლაშა მესხიამ.

„ეს ფალსიფიკაცია სისხლის სამართლის დასჯადი დანაშაულია, გაცემა მოხდა რეესტრის მაშინდელი თავმჯდომარის, ამჟამად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან“ დეპუტატ გიორგი ვაშაძის ბრძანებით, — განაცხადა მან.

მისი სიტყვებით, ასეთი პასპორტები უკანონოდ შეიძინეს საქართველოს წინა ხელმძღვანელობის სხვა წარმომადგენლებმაც, მათ შორის იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმაც, რომელმაც ქვეყანა დატოვა 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების შემდეგ, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი თბილისიდან.

„ადეიშვილზე გაიცა 4 პასპორტი, — აცნობა ლაშა მესხიამ გაზეთ „ყველა სიახლეს“ რეესტრში წყაროს მითითებით. — ჩვენი მონაცემებით, ის ამჟამად კუბაში იმალება“.

როგორც ჩვენი გაზეთი იტყობინებოდა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კვირას მოუწოდა ექსპრემიერ ვანო მერაბიშვილს „გამოიჩინოს მამაცობა“ და აღიაროს ყალბი პასპორტით ქვეყნიდან გასვლის მცდელობის ფაქტი.

„მეტად სამარცხვინოა, რომ ყოფილი პრემიერი, იგივე შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი არ აღიარებს ამ ფაქტს, — თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა. — დამზადდა პასპორტი ვინმე ლევან მაისურაძის სახელზე. ეს დააფიქსირეს პოლიციის თანამშრომლებმაც და პროტოკოლის სამსახურის მუშაკებმაც“.

„მე ძალიან მრცხვენია, რომ მერაბიშვილი არ აღიარებს ამ ფაქტს“, — თქვა მინისტრმა.

„მერაბიშვილი უბრალოდ ცრუობს, როდესაც ამას არ აღიარებს“, — აღნიშნა მან.

მისი სიტყვებით, გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით გაგრძელდება „კლასიკურად“ და დაადგენს მომხდარის ყველა ვითარებას.

შეგახსენებთ, რომ მერაბიშვილი ხელმეორედ იქნა გამოძახებული დაკითხვაზე შინაგან საქმეთა სამინისტროში საზღვრის ყალბი პასპორტით გადაკვეთის მცდელობის საქმესთან დაკავშირებით უარის გამო — ითანამშრომლოს გამოძიებასთან პირველი გამოძახების დროს, განაცხადა სამინისტრომ კვირას.

„ის შეეცადა, უარეყო უცილობელი ფაქტები, რომლებიც გამოძიებამ დაადგინა, ამიტომ იგი გაგრძელდება. დაკითხვაზე გამოძახებული იქნება თავად ექსპრემიერიც, პრეზიდენტის პროტოკოლის სამსახურის თანამშრომლებიც“, — იტყობინებოდა შინაგან საქმეთა სამინისტრო.

თავად ექსპრემიერმა უარყო ბრალდება, მას აბსურდული უწოდა. მან უარი განაცხადა დაკითხვის შემდეგ ეცნობებინა ჟურნალისტებისთვის, თუ რა შეკითხვები დაუსვეს მას შინაგან საქმეთა სამინისტროში. 44 წლის მერაბიშვილის სიტყვებით, „პოლიციაში ყოფნა იყო სიმბოლური“. „სამწუხაროა, რომ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციას იყენებს რეპრესიულ მანქანებად. ჩვენს გუნდს დაშინებებით, დაკითხვებით, დაპატიმრებებით ვერ შეაშინებ და ვერ აიძულებ უარი თქვას საქართველოსთვის ბრძოლაზე“, — დაუმატა მან.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# ალასანია: საქართველოს რუსეთის კუთხეში მიყენება სურს

ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა იმის შესახებ, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ შეიმუშავა ისეთი საგარეო პოლიტიკა რუსეთთან დაკავშირებით, რომ იგი აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „დეოუკუპაციის“ საკითხთან დაკავშირებით „დააყენოს კუთხეში“, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი თბილისიდან.



„ჩვენ არ ველოდებით პოზიციის სწრაფ შეცვლას რუსეთთან დაკავშირებით, ჩვენ არ გაგვაჩნია ასეთი ილუზიები, — თქვა ალასანიამ „მე-9“ არხისთვის მიცემულ ინტერვიუში. ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა, რომ არასოდეს მივცეთ რუსეთს შესაძლებლობა რაიმეში ბრალი დასდოს საქართველოს“.

„გვსურს, რუსეთი დავაყენოთ კუთხეში, რომ იგი იძულებული იყოს პოზიტიურად უპასუხოს ჩვენს პოზიტიურ ნაბიჯებს, მათი უგულებელყოფა ნეგატიურად აისახება მის იმიჯზე“, — თქვა მან.

„აი, ასეთი საგარეო პოლიტიკა შევიმუშავეთ ჩვენ, — თქვა ალასანიამ. — დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის პოზიცია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით კონტრპროდუქტიულია თვით მისთვის. რუსეთმა წააგო აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარების პოლიტიკისთვის ბრძოლა.

მისი სიტყვებით, „მსოფლიო არ დაეთანხმება დებულებას, რომელიც შექმნა რუსეთმა 2008 წლის ომის შემდეგ და, ადრე თუ გვიან, რუსეთს მოუწევს შეასრულოს ვალდებულება ამასთან დაკავშირებით“.

„რუსეთი განიცდის დიდ დისკომფორტს“, — ხაზგასმით აღნიშნა მან, როდესაც აგრძელებდა საუბარს ამ თემაზე. „ჩვენი ამოცანაა, მოვაწესრიგოთ ურთიერთობანი რუსეთთან, მაგრამ არა ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე. რეალობაა, და ამას მთელი მსოფლიოც აღიარებს, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპირება“, — განაცხადა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ.

მისი სიტყვებით, ურთიერთობა შეიძლება დავიწყოთ ურთიერთობის აღდგენით ეკონომიკაში.

„უნდა გაიხსნას საქართველოსთვის რუსეთის ბაზარი ისევე, როგორც გახსნილია საქართველოს ბაზარი რუსეთისთვის, მით უმეტეს, ჩვენ დავთანხმდით რუსეთის შესვლას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში“,— აღნიშნა მან.

მოსკოვი ელოდება კონკრეტულ წინადადებებს თბილისისგან რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციის თვალსაზრისით, განაცხადა სამშაბათს რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა. „ახალი ხელისუფლება აცხადებს, რომ სურს, მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთთან, — თქვა ლავროვმა. — ჩვენ ამის შესახებ მოვისმინეთ, კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისგან. გვინდა ვიცოდეთ, კონკრეტულად როგორ აპირებენ ისინი ამის გაკეთებას“.

ამ დროს, აღნიშნა მინისტრმა, „საქართველოს განცხადებები იმის შესახებ, რომ სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი არიან ოკუპირებული ტერიტორიები, არ უწყობს ხელს მის დიალოგს რუსეთთან წინასწარი პირობების გარეშე“. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი არასოდეს ამბობდა უარს საქართველოსთან კონტაქტებზე. „ქართველი ხალხი — ჩვენი მეგობარი ხალხია. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო ისტორიაშიც, კულტურაშიც, ჰუმანიტარულ კავშირურთიერთობებშიც“, — განაცხადა მინისტრმა რუსეთ-ნატოს საბჭოს სხდომის შემდეგ. ამას გარდა მან შეგვახსენა, რომ რუსეთი არ ყოფილა დიპლომატიურ ურთიერთობათა გაწყვეტის ინიციატორი. „ჩვენთვის არანაირი პრობლემა არ არსებობს. მთავარია, რომ ჩვენ გვესმოდეს კონტექსტი, რომელშიც ეს (დიალოგის განახლება) განხორციელდება“, — თქვა ლავროვმა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**უკრაინაში ხმელნიცკის ატომური ელექტროსადგურის სამი მუშა მოიწამლა შხამიანი გაზებით, ერთი დაიღუპა**

ინციდენტი მოხდა № 1 ენერგობლოკის სარეცხი შახტის რეაქტორულ განყოფილებაში, სადაც მიმდინარეობდა გეგმიური გამაფრთხილებელი სამუშაოები ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენებით. შენობაში თავისი ნივთებისთვის შევიდა მუშა. მან თითქმის უმალვე დაკარგა გონება. მისთვის დახმარებას ცდილობდა მისი ორი კოლეგა.

* * *

**ნიუ-იორკის გაზეთმა შოკში ჩააგდო მკითხველები მამაკაცის სურათით, რომელიც იღუპებოდა მეტროს რელსებზე**



შავკანიანმა მამაკაცმა, რომელიც პლატფორმაზე მათხოვრობდა, რაღაც ვერ გაიყო კორეელ კი სუკ ხანთან და ხელი ჰკრა მას გზისკენ. თვითმხილველებში პანიკა გაჩნდა — ისინი ცდილობდნენ, გაეფრთხილებინათ მემანქანე, რომ მატარებელი გაეჩერებინა. რელსებზე ჩავარდნილი მგზავრის ამოყვანას არავინ ცდილობდა, სამაგიეროდ, მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები გადაიღეს ფოტოზე.

* * *

**ტაიფუნმა „პაბლომ“ ფილიპინებზე 230 კაცი შეიწირა, ასობით უგზო-უკვლოდაა დაკარგული**



დაღუპულთა უმრავლესობა გახდა ზვავის ჩამოწოლისა და წყალდიდობის მსხვერპლი, ბევრი აღმოჩნდა ჩამონგრეულ შენობათა ნანგრევებში. თავშესაფრებსა და ევაკცენტრებში დაახლოებით 180 ათასი კაცია, სულ სტიქიისგან დაზარალდა 213 ათასზე მეტი ფილიპინელი. ტაიფუნის „თვალი“ გადაადგილდა კუნძულ ფალავანზე.

* * *

**აშშ-ის სენატი ემზადება „მაგნიტსკის კანონის“ მკაცრი ვარიანტის მისაღებად**

კონგრესის ზედა პალატას ჰქონდა დოკუმენტის თავისი ვარიანტიც, რომელიც სანქციებს აწესებდა არა მარტო რუსეთთან დაკავშირებით. მაგრამ კენჭისყრაზე მაინც გავა თავდაპირველი ტექსტი, რომელიც ადრე მოიწონა წარმომადგენელთა პალატამ. კანონპროექტის ავტორი გახარებულია: „მამაცი რუსეთელის ხსოვნისთვის ჩვენ შევქმნით პრეცედენტს“. მოსკოვში კი გვპირდებიან, მოამზადონ ღირსეული პასუხი.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№234. ხუთშაბათი, 6 დეკემბერი, 2012 წელი.

# თეირანი-43

ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის წლებში არაერთგზის შევხვედრივარ სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელების – სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ი.ბ.სტალინის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ფ.დ.რუზველტის, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უ.ლ.ს.ჩერჩილის თეირანში შორეული 1943 წლის 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე შეხვედრის უშუალო მონაწილეებს. მართალია, ამ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მოვლენაზე დაწერილია ათასობით ფურცელი, გადაღებულია საუცხოო ფილმი „თეირანი-43“, მაგრამ მკითხველებისთვის დღემდე უცნობია ამ კონფერენციაში ათობით ჩვენი თანამემამულის მონაწილეობის მრავალრიცხოვანი ფაქტი. სამწუხაროდ, დღეს არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარაა... საბედნიეროდ, ჩემს საოჯახო არქივში შემონახულია ზოგიერთი მათგანის მოგონება...

თავს ნებას მივცემ, შევახსენო მკითხველს თეირანში „დიდი სამეულის“ შეხვედრის ძირითადი პერიპეტიები, რასაც წინ უსწრებდა სამი მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელის მრავალთვიანი მიმოწერა. ნახსენები იყო რამდენიმე ვარიანტი, შემდეგ დასახელდა ქ.კასაბლანკა მაროკოში, სადაც შესამოწმებლად ჩავიდნენ საბჭოთა სპეცსამსახურების წარმომადგენლები. შედეგად, უკვე 1943 წლის 5 ნოემბერს, „დიდმა სამეულმა“, ი.ბ.სტალინის წინადადებით, გადაწყვიტა შეხვედროდნენ ერთმანეთს ირანის დედაქალაქში, სადაც ჯერ კიდევ 1941 წლის აგვისტოში ერთდროულად შევიდნენ საბჭოთა და ინგლისის ჯარები, ერთი წლის შემდეგ კი – ამერიკის ჯარების ზოგიერთი ნაწილი.



თეირანის კონფერენციის წინ სტალინმა შესანიშნავად იცოდა როგორც ჩერჩილის, ისე რუზველტის გემოვნების, წეს-ჩვეულებების, სისუსტეების, საოჯახო და სხვა კავშირურთიერთობათა შესახებ. ყოველივე ამის შესახებ მას აცნობებდა ბერია, რომელსაც ლონდონიდან ინფორმაციას აწვდიდა „ზენკენი“ – კიმ ფილბი, ლეგენდარული საბჭოთა მზვერავი, რომელიც ბერიას დავალებით იყო გადმობირებული მაშინ საფრანგეთში მცხოვრები ქართველის მიერ. ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ნიუ-იორკიდან ინფორმაცია მოდიოდა ავლაბრელი მეწარმის შვილის, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის გენერლის ჰაიკ ოვაკიმიანისგან, ვინც სხვა ლეგენდარულ საბჭოთა მზვერავებთან ერთად გადასცა მოსკოვს ყველა მასალა ატომური ბომბის შესახებ!

ზოგიერთი რამ ამისა და სხვათა შესახებ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში თბილისში მიამბო ლავრენტი ბერიას შვილმა, გამაოგნებელი ბედის ადამიანმა, ვისზეც შეიძლება გადაიღო მრავალსერიანი მომნუსხველი ფილმი, მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მერაკეტემ სერგო ლავრენტის ძემ, ვისაც მამის მოკვლის შემდეგ შეუცვალეს არა მხოლოდ მამის სახელი და გვარი, არამედ ჩამოართვეს ყველა ჯილდო და წოდება. აი, ასე ცხოვრობდა იგი მთელი 45 მტანჯველი წლის განმავლობაში!

სხვათა შორის, ლავრენტი ბერიას ერთადერთი ვაჟი სერგო, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო 17 წლის, 1941 წლის ზაფხულში, რადიოკავშირის მოკლევადიანი კურსების შემდეგ, სადაზვერვო ჯგუფის შემადგენლობაში, გადაიყვანეს ირანის ქურთისტანში, თუმცა მისი ჯგუფის თავდაპირველი დავალება იყო მოხვედრილიყო გერმანიაში, ზესაიდუმლო სარაკეტო ცენტრ „პენემიუნდეში“. სერგო ბერია ირანში არალეგალურად ხუთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იყო, საიდანაც საიდუმლო ინფორმაციას გადასცემდა „ცენტრში“, რომელიც თბილისში იყო, ის კი ფიქრობდა, რომ მონაცემებს მოსკოვში აგზავნიდა.

ჯერ კიდევ 1935 წელს სპარსეთში არალეგალურად იმყოფებოდა ბოგდან (ბაღჩო) ქობულოვი, რომელმაც მაშინ შეძლო შეექმნა დაზვერვის რამდენიმე ცენტრი, რამაც ხელი შეუწყო გერმანიასთან ომის დაწყების პირველ პერიოდში ჰიტლერელი ჯაშუშებისა და დივერსანტების გაუვნებელყოფას. ომამდე მუშაობდა ირანში 30 წლის პროფესიული მზვერავი სერგო არკადის ძე კორხმაზიანიც. ირანში რამდენჯერმე იყო შინსახკომის გენერალი ვარლამ კაკუჩაია.

ომის დასაწყისში თბილისელი ნ.ი.აგაიანცი, რომელიც ყოფილი ენგელსის ქუჩაზე ცხოვრობდა, საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტად გაიგზავნა პარიზიდან, სადაც დიპლომატიური რანგის ნიღაბქვეშ (საფრანგეთში სსრ კავშირის საელჩოს მესამე მდივანი) იყო საფრანგეთში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტის მოადგილე. სხვათა შორის, ალახვერდოვიც, აგაიანციც, ომის შემდეგ მსახურობდნენ სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ორივე გენერალი გახდა.

კიდევ ერთი თბილისელი – პ.ი. ზუბოვი იმ წლებში ორჯერ იყო ირანში. ბატონმა პეტრემ შესანიშნავად იცოდა ქართული, ერთი წლით უფროსი იყო ლავრენტი ბერიაზე, რომელმაც ჩართო კიდეც იგი საიდუმლო სამსახურში. პ.ზუბოვმა თავი გამოიჩინა ბრძოლაშიც კავკასიისთვის, სადაც ჩამოვიდა 1942 წლის ზაფხულში.

... თეირანში „დიდი სამეულის“ შეხვედრამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე ჰიტლერმა გაიგო ამის შესახებ. და უმალვე მიიღო ყველაზე მკაცრი ზომები, რომ ადგილზევე გაენადგურებინათ სტალინი, ჩერჩილი, რუზველტი, თუმცა, ამ უკანასკნელის ცოცხლად ხელში ჩაგდება იყო სასურველი. სხვათა შორის, იმის გაგება, თუ საიდან და ვისგან გაჟონა ზესაიდუმლო ინფორმაციამ, დღემდე ვერ მოხერხდა. თუმცა, უნდა ვიფიქროთ, რომ გაჟონვა მოხდა ინგლისის მხრიდან. დაახლოებით ასე ფიქრობდა იმ წლებში ბერლინში შინსახკომის რეზიდენტი რუდოლფ ფონ შელია, რომლის ფსევდონიმიც „არნეცი“ იყო.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ეკრანზე გამოვიდა პირველი საბჭოთა ფილმი „მზვერავის გმირობა“, რომელიც ეძღვნებოდა ლეგენდარულ საბჭოთა მზვერავს, საბჭოთა კავშირის გმირს ნიკოლაი კუზნეცოვს, თუმცა ამის შესახებ გაცილებით გვიან გავიგეთ. ფილმის გმირის როლი შეასრულა პოპულარულმა საბჭოთა მსახიობმა პაველ კადოჩნიკოვმა, სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატმა.

მხოლოდ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ გახდა ჩვენთვის ცნობილი, რომ ნიკოლაი კუზნეცოვი საბჭოთა დაზვერვაში მიიზიდეს საიდუმლო თანამშრომლებმა ბერიასი, ვისაც მოუწია თითქმის მთლიანად განეახლებინა სსრ კავშირის შინსახკომის აპარატი და ეძებნა ახალი პერსპექტიული თანამშრომლები. ნიკოლაი კუზნეცოვმა გაიარა ლეგენდარული გენერალ პაველ სუდოპლატოვის ხელში და ის გადაისროლეს გერმანელების ზურგში ლეიტენანტ პაულ ვილჰელმ ზიბერტის სახელით. ვისაც ეს ფილმი არ უნახავს და არ იცოდა შემდგომში ეს გახმაურებული ისტორია, მათთვის ორი სიტყვით ვიტყვი: პაულ ზიბერტმა ოკუპირებულ ლვოვში გაიცნო მნიშვნელოვანი პერსონა ფონ ორტელი, ვისაც სმაც უყვარდა და ბერლინში ჰყავდა მაღალი რანგის ნათესავები. კაზინოში მორიგი შეხვედრის დროს გადაკრულში მყოფ ფონ ორტელს წამოსცდა, რომ საიდუმლო მისით მიდის თეირანში, სადაც მალე ერთმანეთს უნდა შეხვდნენ სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი, რომელთა ლიკვიდაციაც არის დაგეგმილი, ზიბერტს მის საიდუმლო ჯგუფში ჩართვაც კი შესთავაზა.

მალე ეს ინფორმაცია აღმოჩნდა ბერიას მაგიდაზე. საბჭოთა დაზვერვამ არა თუ ჩაშალა შეთქმულება, არამედ სრულადაც გამოიყენა ამერიკის პრეზიდენტის ყოფნა საბჭოთა საელჩოში, სადაც იმ ოთახებში, რომლებშიც იმყოფებოდა პრეზიდენტი რუზველტი, დააყენეს მოსასმენი მიკროფონები. სტალინმა პირადად დაავალა სერგო ბერიას საჩოთირო მოვალეობა – ყურადღებით ედევნებინა თვალყური ინტონაციისთვის როგორც რუზველტის, ისე ჩერჩილისა და დილაობით პირადად მოეხსენებინა მისთვის...

თბილისში მე ახლოს გავიცანი უკვე გადამდგარი ჩეკისტი, შინსახკომ-უშიშროების სახელმწიფო სამინისტროს პოლკოვნიკი ალექსანდრე ნაბიჭვრიშვილი, რომელიც მაჩაბლის ქუჩა № 7-ში ცხოვრობდა. სხვათა შორის, ამ აგურის სახლში ცხოვრობდა სახელმწიფო უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ გვიშიანიც, ვის შვილს ჯერმენს ცოლად ჰყავდა ალექსეი კოსიგინის ქალიშვილი. მათთან ხშირად მიწევდა ურთიერთობა, ყურადღებით ვაკვირდებოდი მათ ცალკეულ ფრაზებს, მოგონებების დეტალებს. ამას ყველა ჩემთან მოსაუბრეზე ვლაპარაკობ. მათთან და მათ შვილებთან მეგობრობის, საერთო ნაცნობების წყალობით, გარკვეული დროის შემდეგ შევძელი ნაწილ-ნაწილ შემეგროვებინა ინფორმაციები.

და აი, პოლკოვნიკმა საშა (ასე მიმართავდნენ მას ახლობლები) ნაბიჭვრიშვილმა თავადაც დიდი ხნის განმავლობაში არ იცოდა, რომ სხვადასხვა სახის პროდუქტის, ღვინის, ხილის და ა.შ. მორიგი დიდი პარტია გაგზავნა თეირანში „დიდი სამეულის“ მაგიდისთვის. იმ დროს ყველაფერი, რაც შეეხებოდა მოსკოვში სტალინისთვის, ზოგჯერ კი სხვებისთვისაც პროდუქტების გაგზავნას, საშა ნაბიჭვრიშვილის სპეციალური ლაბორატორიული შემოწმებისა და ბეჭდის გარეშე არ ხდებოდა...

როდესაც საქართველოს პარტიულ ორგანოებში ვმუშაობდი, „ცეკას“ სასადილოში შეფ-მზარეულად, აგრეთვე, ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის პირად მზარეულად მუშაობდა მეტად გულკეთილი და თავმდაბალი ალექსანდრე არსენის ძე რთველაძე. გვიან საღამოობით, მუშაობის შემდეგ, ჩვენ ხშირად თანამგზავრები ვხდებოდით – ის გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, მაშინ მახლობლად ცხოვრობდა ჩემი ძმაც თავის ოჯახთან ერთად. და აი, ერთხელ შაბათ საღამოს, ჩაის სუფრაზე რთველაძემ გასაოცარი ამბავი გვიამბო. ვფიქრობ, ეს ისტორია, თუმცა, უკვე თითქმის 35 წლის შემდეგ, საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის.

თურმე, გასული საუკუნის 30-იან წლებში ალექსანდრე რთველაძე მზარეულად მუშაობდა ლ.ბერიასთან, რომელმაც მოსკოვში გადასვლის დროს თავის ოჯახთან – მეუღლესა და შვილთან ერთად ისიც თან წაიყვანა. გადიოდა წლები. ბერიას სახლში ხშირად სტუმრობდა სტალინი, რომელსაც ძალიან მოსწონდა ლავრენტის მეუღლის ნინო გეგეჭკორის მიერ მომზადებული ქართული კერძები. გარკვეული დროის შემდეგ სტალინის სამზარეულოში მუშაობა დაიწყო ლ.ბერიას მიერ გამოგზავნილმა ქართული კერძების ოსტატმა ა.რთველაძემ. ერთხელ რთველაძეს უბრძანეს გამოცხადებულიყო სადგურზე კუნცევოს რაიონში. სად უნდა წასულიყვნენ, არავინ იცოდა. ასეთი დრო იყო – არავითარი ზედმეტი სიტყვა. ასე აღმოჩნდა ის ბაქოში, საიდანაც თვითმფრინავით (ის რამდენიმე იყო), მთელი ჯგუფი – დაახლოებით 60 კაცი – ჩაიყვანეს თეირანში, რთველაძეს კი ეგონა, რომ თბილისში ჩაფრინდნენ. ეს იყო 1943 წლის 25 ნოემბერს. და მხოლოდ ორი დღის შემდეგ გაიგეს მათ, რომ საერთაშორისო შეხვედრა უნდა გამართულიყო...

30 ნოემბერს უინსტონ ჩერჩილს 69 წელი შეუსრულდა. ჩვენმა ჩეკისტებმა გაიგეს, რომ ის ზუთხს აღმერთებს. რთველაძეს დაავალეს მოეხარშა ზუთხი მთლიანად. ბერიას სატელეფონო დავალებით აზერბაიჯანის ხელმძღვანელმა მირ ჯაფარ ბაგიროვმა კასპიის ზღვაში დააჭერინა ორ მეტრნახევრიანი ზუთხი. იქვე, ბაქოში დაამზადეს უზარმაზარი გეჯა და მარლის გორგალით შეფუთული თევზი სასწრაფოდ ჩაიტანეს თეირანში. ეს ყოველივე რთველაძემ მოიფიქრა. სამეურნეო ეზოში გააჩაღეს კოცონი, მდუღარე წყალში ჩაუშვეს მარლაში შეხვეული ხეზე გადაკიდებული ზუთხი. კოცონის ორივე მხარეს ჩეკისტები იდგნენ. როგორც კი რთველაძემ ნიშანი მისცა, ზუთხი ამოიღეს, მარლა შემოხსნეს და უზარმაზარ ლანგარზე მოათავსეს, რომელიც ასევე სპეციალურად ჩამოიტანეს ლენინგრადის ერმიტაჟის მუზეუმიდან. როდესაც რთველაძემ და მისმა თანაშემწეებმა მოხარშული ზუთხი ყველა საჭირო სანელებლებით შეამკეს, სახელმწიფო უშიშროების მესამე რანგის კომისრის ალექსანდრე ეგნატაშვილის (ის თეირანში ყველა სამეურნეო საკითხზე იყო პასუხისმგებელი) ნიშნით, კერძი საზეიმოდ შეიტანეს საბანკეტო დარბაზში და დადეს მაგიდაზე ჩერჩილის წინ. ბრიტანეთის პრემიერის აღფრთოვანებასა და ემოციებს საზღვარი არ ჰქონდა. ზეიმის ბოლოს იუბილარის წინ გაჩნდა კომპოზიცია – სუფთა შოკოლადის „რუსული ტროიკა“.

როგორც გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ კარანაძე იგონებდა (ამის შესახებ მისი შვილი, ცნობილი პარტიული და საზოგადო მოღვაწე აკაკი გვიამბობდა ხოლმე), ვინაც სხვა ჩეკისტებთან ერთად უზრუნველყოფდა საბჭოთა დელეგაციის უსაფრთხოებას, ჩერჩილი სიხარულსა და აღფრთოვანებას ვერ მალავდაო...

სსრ კავშირის დაშლის წინაპერიოდში, მოსკოვში ნათესავთან ყოფნის დროს, გავიცანი ამ ოჯახის მეგობარი, ყოფილი ჩეკისტი, რომელიც თეირანში იყო სტალინის დაცვის ჯგუფში, მაიორი გრიშა ზაქარაია. მან საინტერესო ფაქტი გვიამბო. როდესაც კონფერენციის დასასრულ „დიდმა სამეულმა“ გადაწყვიტა ერთად სურათის გადაღება, რატომღაც ორ ჩვეულებრივ სავარძელთან ერთად გვერდით დადგეს უფრო დაბალი სავარძელი, რომელშიც ჩაჯდა ჩერჩილი, ვინც ისედაც დაბალი იყო. ყურადღებიანმა ჩერჩილმა, ეტყობა, შენიშნა ერთგვარი ირონია დამსწრეთა თვალებში და შემდგომში, უკვე იალტასა და პოტსდამში, სავარძლები „დიდი სამეულისთვის“ უკვე ერთნაირი სიმაღლისა მოჰქონდათ.

ზემოაღნიშნულ სახელებს შემიძლია დავუმატო სტალინის პირადი დაცვის უფროსი, წარმოსადეგი შალვა წერეთელი, რომელსაც ბერია იცნობდა ჯერ კიდევ ოციანი წლებიდან, როდესაც ერთად იმყოფებოდნენ ქუთაისის ციხეში, მომხიბლავი გენერალი კაპიტონ ნაჭყებია, ვისაც ყურადღება მიაქცია თავად უინსტონ ჩერჩილმა, მით უმეტეს, რომ თეირანში მისი შტაბის უფროსი (ე.ი. თანაშემწე) იყო წარმოშობით ქართველი მერაბ კვიტაშვილი.

„დიდი სამეულის“ შეხვედრა, რომელიც ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული და განხორციელებული, იყო სტალინის ტრიუმფი, განსაკუთრებით საბჭოთა არმიის დიდი გამარჯვებების შემდეგ სტალინგრადთან, კავკასიისთვის ბრძოლაში, კურსკის რკალზე, დნეპრის ფორსირებისა და კიევის გათავისუფლების შემდეგ. რუზველტი მოხიბლული იყო სტალინის პიროვნებით, თავად რკინის ჩერჩილიც დატყვევებული იყო საბჭოთა ბელადის ქარიზმით. თეირანში ყველაზე უფროსი ჩერჩილი იყო – მას მაშინ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 69 წელი შეუსრულდა. სტალინს 21 დღის შემდეგ 64 უსრულდებოდა, რუზველტიც მალე 62 წლისა გახდებოდა. მათგან ყველაზე დიდხანს იცოცხლა ჩერჩილმა – მსოფლიო დონის უჭკვიანესმა პოლიტიკოსმა. როდესაც 1959 წელს ხრუშჩოვის აღვირახსნილი ანტისტალინური ისტერიის პერიოდში, ლონდონში ლორდთა პალატაში გამოსათხოვარი სიტყვით გამოდიოდა, საბჭოთა რუსეთის, სსრ კავშირის პირველმა მტერმა უინსტონ ჩერჩილმა იოსებ სტალინს მისცა ყველაზე საქებარი შეფასება: „... სტალინმა მიიღო ხის კავის რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი“.



**ლევან დოლიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფეხბურთი



# როცა ყველაფერი ვიცოდით

**უკვე გაუწყეთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში თითქმის ყველაფერი, მათ შორის უმთავრესი — მერვედფინალისტთა ვინაობა ვადამდე გაირკვა. ვინაიდან დასკვნითი ტურის შეხვედრებს ინტრიგა აკლდა, ამიტომ დღეს მხოლოდ მათი შედეგებისა და საბოლოო მდგომარეობის გაცნობა ვიკმაროთ.**

**„ა“ ჯგუფი.** „პარი სენ-ჟერმენი“ — „პორტუ“ 2:1, ზაგრების „დინამო“ — კიევის „დინამო“ 1:1.

„პარი სენ-ჟერმენი“ — 15, „პორტუ“ — 13, კიევის „დინამო“ — 5, ზაგრების „დინამო“ — 1 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“ — „არსენალი“ 2:1, „მონპელიე“ — „შალკე“ 1:1.

„შალკე“ — 12, „არსენალი“ — 10, „ოლიმპიაკოსი“ — 9, „მონპელიე“ 2 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „მილანი“ — „ზენიტი“ 0:1, „მალაგა“ — „ანდერლეხტი“ 2:2.

„მალაგა“ — 12, „მილანი“ — 8, „ზენიტი“ — 7, „ანდერლეხტი“ — 5 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „რეალი“ — „აიაქსი“ 4:1, „ბორუსია“ — „სიტი“ 1:0.

„ბორუსია“ — 14, „რეალი“ — 11, „აიაქსი“ — 4, „სიტი“ — 3 ქულა.

**გიორგი შოთაძე**



ძალოსნობა

# მედლებიც, რეკორდებიც

**ახალგაზრდა ქართველი ძალოსნები ბოლო წლებში ევროპული ტურნირებიდან ხელდამშვენებული ბრუნდებიან. გამონაკლისი არც წლევანდელი სეზონი იქნება.** მით უმეტეს, რომ ისრაელის ქალაქ ეილათში ორმა ქუთაისელმა ათლეტმა უკვე მოიხვეჭა კონტინენტის ჩემპიონატის ხუთი მედალი. თავი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის — მალხაზ ლომთაძის შეგირდებმა ისახელეს: 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭაბუკთა ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორმა შოთა მიშველიძემ ეილათში სამი მედალი მოიპოვა. ორჭიდსა (229 კგ) და აკვრაში (155 კგ) მას „ვერცხლი“ ერგო, ატაცში კი „ბრინჯაო“ იკმარა. ამ წინაში პირველ და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, რუმინელი ელორინ გროიტორუ (280=123+157) და მოლდოველი იონ ტერნა (276=121+155) გავიდნენ.

შესანიშნავად დაიწყო ასპარეზობა 69 კილოში ახალგაზრდებს შორის შარშანდელი ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორმა გიორგი ლომთაძემ: ატაცში მან სამივე ცდა გამოიყენა და 143 კილოგრამით ყველას აჯობა. სამწუხაროდ, მან აკვრაში მხოლოდ ერთი შანსი გამოიყენა და 310 კილოგრამით მესამე ადგილი დაიკავა. პირველ-მეორე ადგილები აზერბაიჯანელ ფირიდუნ გულიევსა (316=136+180) და მოლდოველ არტიომ პიპას (314=142+172) ხვდათ. საგულისხმოა, რომ ჩვენებურთაგან მიშველიძემ საქართველოს 3 რეკორდი დაამყარა, ლომთაძემ კი ქვეყნის ორი მიღწევა გააუმჯობესა.



**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: შოთა მიშველიძე.**

კალათბურთი

# კრახი

**იმედი გვქონდა, რომ ჩაფლავებული ევროჩელენჯის ფინიშზე საქართველოს მოქმედი ჩემპიონი თბილისის „არმია“ კარს გაიჯახუნებდა და ერთი გამარჯვებით მაინც გაგვახარებდა, მაგრამ...**

თავდაცვის სამინისტროს გუნდს ზედიზედ მეხუთე გაწბილება ბელგიაში ელოდა, სადაც „ანტვერპენთან“ კატასტროფული სხვაობით შერცხვა — 54:87.



სტუმართაგან ყველაზე შედეგიანად შვედმა ცენტრმა იოაკიმ შელბომმა ითამაშა — 14 ქულა და 8 მოხსნა, თუმცა ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა გაზაფხული ვერ მოიყვანა.

11 დეკემბერს გერმანიის „ტელეკომ ბონს“ ვმასპინძლობთ და იქნებ ამ უკანასკნელი მატჩის მოგებით მაინც მოვახერხოთ შელახული პრესტიჟის ნაწილობრივ აღდგენა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

კრივი

# დოკვაძე კვარცხლბეკზეა

**მაგრამ რომელ საფეხურზე, ეს დღეს გაირკვევა. ერევანში ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ალექსანდრე დოკვაძემ 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზედიზედ მესამე მეტოქეს სძლია — ამჯერად ირანელი სიავახ ომიდი ჩამოიშორა გზიდან — 8:6 და ნახევარფინალში გავიდა.** ამ გამარჯვებით მან ბრინჯაოს მედალი გაინაღდა, თუმცა დღეს შოტლანდიელ სკოთ ფორესტსაც თუ დაამარცხებს, მაშინ, სულ მცირე, საფეხურით მაღლა აიწევს. მეორე ნახევარფინალში რუსეთელი იდრის შახმანოვი და სომეხი ნიკოლოზ არუთინოვი იბრძოლებენ გადამწყვეტი პაექრობის საგზურისთვის.



**ვაჟა ნოსირელი**

ოლიმპიზმი

## კანაევა წავიდა

**ლონდონის ოლიმპიური თამაშების შემდეგ დიდი სპორტიდან წავიდნენ მხატვრული ტანმოვარჯიშეები — 20 წლის ულიანა დონსკოვა და 17 წლის კაროლინა სევასტიანოვა.** ამ დღეებში სარბიელს ზურგი აქცია ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 22 წლის ევგენია კანაევამ, რომელიც რუსეთის მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.



## ინდოეთს წევრობა შეუჩერეს

**საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ინდოეთს სოკ-ის წევრობა შეუჩერა: ამ ქვეყნის წარმომადგენლები ეროვნული დროშის ქვეშ საერთაშორისო ტურნირებში, მათ შორის — ოლიმპიურ თამაშებში ვერ გამოვლენ, ხოლო ინდოეთის ეოკი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან ფინანსურ დახმარებას ვერ მიიღებს.** ყოველივეს მიზეზი გახდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევა. კერძოდ, ინდოეთის ოფიციალური სტრუქტურები ცდილობენ, ჩაერიონ ამ ორგანიზაციის არჩევნებში, რომელიც დღეს უნდა გაიმართოს. არადა, იგი 25 ნოემბერს უნდა ჩაეტარებინათ, მაგრამ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სახელმწიფო მაღალჩინოსნების მხრიდან წნეხის გამო პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა.

**გივი გაგუა**

ჰოკეი

# თასები სტუმრებს არ დაანებეს

**გაისად თებერვალში საბერძნეთის დედაქალაქი ათენი დარბაზის ჰოკეისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. სათანადო სახსრები თუ გამოიძებნა, შეჯიბრებაზე, შესაძლოა, ქუთაისის ვაჟთა გუნდიც გაემგზავროს.** ეს უფლება ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა რიონისპირელებმა (მწვრთნელები — დავით მოდებაძე, ხვიჩა ჯავახაძე) მას შემდეგ მიიღეს, რაც საქართველოს თასის გათამაშების ფინალურ პაექრობაში შინ ლანჩხუთის „გურიას“ 8:3 აჯობეს.

ქალებში მთავარი პრიზი არავის დაუთმო ქუთაისის „უქიმერიონმა“, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში „აბაშა“ დაჯაბნა — 7:2. ფინალების საუკეთესო მოთამაშეებისთვის დაწესებული პრიზები მასპინძლებმა — რადა მაღლაკელიძემ და გია გერაძემ დაიმსახურეს.



**ლაშა დიდია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ წიგნის თარო

# კრწანისის ქუჩის ბინადრის ჩანაწერები

**„...ჩვენ შეურიგებელნი ვიყავით არა მარტო ქვეყნის ფარგლებს მიღმაც და მის შიგნითაც. ჩვენ საკუთარ მეფეებსაც არ ვაღიარებდით. თავად გვსურდა — თითქმის ყოველ ჩვენგანს — მმართველად ყოფნა“.**

**„მარადიული დილემა: ევროპა თუ აღმოსავლეთი? მერე კი — აღმოსავლეთი თუ რუსეთი, აშშ, შავიზღვისპირეთის ქვეყნები... ბოლოს და ბოლოს ისტორიას ჩვენთვის რაღაც ხომ უნდა ესწავლებინა“.**

**„ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ჩვენი ტერიტორია სტრატეგიისთვის ძალიან პატარაა. აქ საუცხოო პირობებია ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებისთვის, მაგრამ სრულიად გამოუსადეგარი დიდი სტრატეგიული ოპერაციებისთვის“...**

**„მაგრამ, მოდით წინაპრებს მკაცრად ნუ განვსჯით. მათ უდიდესი საქმე გააკეთეს — შეგვინარჩუნეს ენა, სამშობლო. ბევრმა ერმა ამის გაკეთება ვერ შეძლო“.**

ეს გახლავთ **თენგიზ უჩანეიშვილის** რუსულ ენაზე დასტამბული ახალი წიგნის **„ზევით და ქვევით კრწანისზე“** ამონარიდები, რომლებიც საუცხოოდ გადმოსცემს ქვეყნის და საკუთარი წარსულისა და აწმყოს განაალიზებისა და მომავლის განჭვრეტის ავტორისეულ სულისკვეთებას .

ვიდრე ორიოდე სიტყვას ახალგამოსულ წიგნზე მოგახსენებდეთ, რომლის ტიტულზე მინიშნება „ფაქტები, მოვლენები, ფიქრები“ უმალ ამცნობს მკითხველს თავის შინაარსს. აღვნიშნავ, რომ ბატონმა თენგიზ უჩანეიშვილმა მეტად საგულისხმო ჩანაფიქრის, წიგნის სერიის „ოცნება და ცხოვრების“გამოცემის განხორციელება 1990-იან წლებში დაიწყო (1994 წელს დაისტამბა მისი წიგნი „წარსულსა და მომავალს შორის“). ამით გამოჩენილი ქართველი განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის საქმე განაგრძო, რითაც ხალხს ხელს უწყობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქმიან და კულტურულ კავშირთა განვითარებას საბაზრო ეკონომიკის ახალ, ერთობ უჩვეულო პირობებში.

ბატონ თენგიზ უჩანეიშვილს დღევანდელი გადმოსახედი, მისი, ასე ვთქვათ, „სათვალთვალო კოშკი“, თბილისის ერთი ლამაზი, ბევრის მნახველი კრწანისის ქუჩაა. ავტორის თქმით, **„აქ ისტორიაა, ახლანდელიც და ძველიც, ქართულიც და საბჭოურიც, აქ აღმოსავლეთიცაა, კავკასიაც, ამიერკავკასიაც, სტალინიც, ბერიაც და თამარ მეფეც, ეაშ (ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძეც), საპატიო სტუმრებიც... ჯავშანტრანსპორტიორებიც, ტანკებიც, დაცვაც, ჩხუბიც და აყალმაყალიც...“** ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი ისაა, რაც ქვეყნის ახალი და უახლესი ისტორიის კუთვნილებაა და რომელზე განვითარებულ მოვლენებს საქართველოს აწმყოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ახალ ნაშრომში ბატონი თენგიზ უჩანეიშვილი ძალიან საინტერესოდ მოგვითხრობს ყმაწვილკაცობის, სწავლის, მუშაობის პირველ წლებზე, საკუთარ გულისტკივილებსა და ეჭვებზე, პარტიულ საქმიანობაზე, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და ამ მოვლენათა მოქმედ პირებზე.

ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი თავად გაეცნობა ჩვენი თანამედროვე ისტორიის თვალსაზრისით ამ მეტად საინტერესო ნაშრომს, თუმცა, კი მის ერთგვარ რეზიუმეს, რომელსაც თავად ავტორი ბოლოში გვამცნობს, ამთავითვე შემოგთავაზებთ: **„მხოლოდ ბოლოს, მთლიანობაში მხოლოდ ახლაღა შემექმნა წარმოდგენა პირველი წიგნის, მისი მოცულობის შესახებ. მხოლოდ ახლა შეიძლება მისი პოტენციურად ინტელექტალური და მსოფლმხედველური ღირებულების, მისი სარგებლიანობის დადგენა...**

**...მე ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გამოვიყენე დღიურის ფორმაში ჩადებული ყველა შესაძლებლობა. მთავარი აღმოჩენები და დასკვნები, იქნებ ჯერ კიდევ წინ არის“.**




ოთარ ტურაბელიძე

◉ ინფორმაცია

**დეკემბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 5-7, 10-15, 18-21, 24-28. ამ დღეებში მოსალოდნელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის ამაღლება, სეისმოაქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.**

## აქტიური პროცესები დეკემბერში



**6 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. შესაძლებელია განწყობილების გაუარესება, ძლიერი რეაქცია მოვლენებზე, მოდუნება, პასიურობა, კრიტიკულობა და გულისრევა. სტრესებისა და გადაღლილობის გამო შესაძლებელია კვების გადამმუშავებელი და ნერვული სისტემის მოშლა, კანის დაავადებანი, უძილობა. წარმატებით ჩაივლის პროფილაქტიკური დათვალიერება, კანის დაავადებათა მკურნალობა, ოპერაციებისთვის მზადება, ფიტოთერაპია. ხელსაყრელი დროა დაუმთავრებელ საქმეთა დასრულებისთვის.

**10 — მთვარე-სატურნის შეერთება.** მეტად საალბათოა ინფექციური ან ანთებითი დაავადებანი შარდსადენის ორგანოებისა, ბუასილი, გაზრდილია ვენერიულ დაავადებათა საფრთხე. არ არის გამორიცხული ტკივილები სისხლძარღვებსა და ხერხემალში. რეკომენდებულია თბილად გვქონდეს ფეხები და წელი, უარი ვთქვათ ცხიმიან და ცხარე საკვებზე, ალკოჰოლზე, დიდ ფიზიკურ დატვირთვებზე. ერიდეთ გაციებას, ტრავმატიზმსა და მოტეხილობას. არ არის ხელსაყრელი დრო დაგეგმვისთვის, ახალი საქმის დაწყებისთვის, მოლაპარაკება ხელმძღვანელობასთან ხელფასის გადიდების შესახებ.

**11 — მთვარე-ვენერას შეერთება, მერკური გადადის მშვილდოსნის ნიშანში.** შეიძლება შეინიშნებოდეს აღელვებულობა, წყენა, ეჭვიანობა. შესაძლებელია ინფექციური დაავადებანი, ანგინა, ლარინგიტი, შარდის ბუშტის სისუსტე. ერიდეთ გაციებას, გამოიყენეთ ხარისხიანი პროდუქტები, ბოროტად ნუ ისარგებლებთ ტკბილეულით. იყავით ყურადღებიანი და ერიდეთ აჩქარებას ფულადი დოკუმენტების შედგენის, ანგარიშებისა და რაიმეს ყიდვის დროს. წარმატებული იქნება ის საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნების საგნებთან, სამკაულებთან, კონცერტებთან და გამოფენების დათვალიერებასთან.

**12 — მთვარე-მერკურის შეერთება, მთვარის პერიგეა.** დღეს შესაძლებელია გონების მოდუნება და უყურადღებობა. უნდა იზრუნოთ ღვიძლზე და ნერვულ სისტემაზე, დაიცვათ დიეტა, არ დაკარგოთ თვითშეგნება, აკონტროლეთ ემოციები. არ არის გამორიცხული ქოშინი, ტკივილები ხელებში, ნევრალგია, რადიკულიტი. ფრთხილად იყავით საჭესთან, ტრანსპორტით მოგზაურობის და დოკუმენტებზე მუშაობის დროს. გაუფრთხილდით ბავშვებს, უარი თქვით ალკოჰოლზე.

**13 — სავსე მთვარე.** მეტად საალბათოა ამინდის ცვალებადობა და ქრონიკულ დაავადებათა გართულება, განსაკუთრებით სისხლძარღვების, ფილტვებისა და ნერვული სისტემისა. შეიძლება თავი შეგახსენოთ საჯდომმა ნერვმა და ვენებმა. უარი თქვით მძიმე და ცხიმიან საკვებზე, ალკოჰოლზე, ნუ გადატვირთავთ ღვიძლსა და ფეხებს. არ არის გამორიცხული სირთულეები გადაწყვეტილებათა მიღების დროს, უყურადღებობა, ამიტომ არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება. ეცადეთ, არ ჩაერთოთ კონფლიქტებში და დიდხანს იყოთ ჰაერზე.

**14 — მთვარე-პლუტონის შეერთება.** შეიძლება გამწვავდეს მოვალეობის გრძნობა და პასუხისმგებლობა, მტკივნეულად აღიქვათ გადაუჭრელი პრობლემები, შეიგრძნოთ ძალების უკმარისობა. შესაძლებელია სისხლძარღვებში, ხერხემალში ტკივილების გაჩენა ან გაძლიერება, რევმატიზმის გამწვავება. არ არის გამორიცხული სასქესო ორგანოების დაავადებანი, ცისტიტი. ერიდეთ სიცივესა და გაციებას, უარი თქვით მძიმე ფიზიკურ მუშაობაზე და სიმძიმეების გადატანაზე. ერიდეთ დაცემას, ტრავმატიზმს, თვითშემეცნების დაკარგვას, გაუთვალისწინებელ საქციელს, ძალადობასა და სიმკაცრეს.

**15 — მთვარე-მარსის შეერთება.** შეიძლება შეგაწუხოთ თვალის, კბილების, სასქესო ორგანოების დაავადებებმა. გადაღლისა და აკვიატებული აზრების გამო შეიძლება შეგაწუხოთ უძილობამ და თავის ტკივილმა. მეტად საალბათოა ოსტეოქონდროზის, ძვლებსა და სახსრებში გამწვავება. სასურველია, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, უარი ვთქვათ მძიმე ფიზიკურ დატვირთვებზე, მოწევაზე, ალმგზნებ სასმელებზე, ყავაზე, შოკოლადზე. იზრდება აქტიურობა, გალიზიანება და მოუთმენლობა, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს კონფლიქტებთან და ტრავმატიზმთან. აკონტროლეთ ემოციები, ერიდეთ ცეცხლს, წვეტიან საგნებს და დარტყმებს თავში. ხელსაყრელია ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები, გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი და გასეირნება.

**18 — მთვარე-მერკურის შეერთება.** მეტად საალბათოა ამინდის გაუარესება, ნალექები, წყალდიდობა. შესაძლებელია რევმატიზმის, ყელსა და სახსრებში გამწვავება. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, თბილად გვქონდეს ფეხები, თავი შევიკავოთ სპირტიანი სასმელებისა და ყავისგან. ნუ გადაღლით თვალებსა და ფეხებს. სასარგებლოა წყლის პროცედურები და ტერფების მასაჟები. არის უხარისხო პროდუქტებით მოწამვლის ალბათობა. დაბნეულობისა და უყურადღებობის გამო გაზრდილია ავარიულობისა და ტრავმატული სიტუაციების საფრთხე. სასურველია, უარი ვთქვათ ქირურგიულ ჩარევებზე.

**20 — მთვარის პირველი მეოთხედი, მთვარე-ურანის შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. გაზრდილმა ენერგეტიკამ და აქტიურობამ შეიძლება მიგვიყვანოს კონფლიქტებთან და ტრავმატიზმთან, არტერიული წნევის ამაღლებასთან და გულის ტკივილთან. შესაძლებელია ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, თავის ტკივილი, უძილობა, კრუნჩხვები და სპაზმები, სისხლსადენი სისტემების და ფსიქიკის დაზიანება. არ არის გამორიცხული მოულოდნელ ვითარებათა გაჩენა, გეგმების შეცვლა — ამიტომ პრობლემების გადაჭრა და გეგმების აგება უნდა იყოს მეტად ფრთხილი.

**26 — მთვარე-იუპიტერის შეერთება.** შესაძლებელია ფილტვების, ბრონქების, ღვიძლის დაავადებანი, ტკივილები ხელებში. სასარგებლოა დიეტის დაცვა, წყლის პროცედურები, სუნთქვითი ვარჯიშები. ერიდეთ სიტუაციის არაობიექტურ შეფასებას, საკუთარი ძალების ზედმეტად შეფასებას, უარი თქვით სიმძიმეების გადატანაზე. იყავით ფრთხილად ცეცხლთან, ცეცხლსასროლ იარაღთან, ბიოტექნიკასთან, ელექტროობასთან და წვეტიან საგნებთან.

**28 — სავსე მთვარე.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ზედმეტი აღგზნება, უძილობა, შინაგანი მღელვარება და გაღიზიანება. განსაკუთრებით ძლიერია მთვარის გავლენა ქალებზე. არ არის გამორიცხული საკვების გადამმუშავებელი სისტემის, აგრეთვე, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის მუშაობის დარღვევა, შეშუპება, არტერიული წნევის ამაღლება. რეკომენდებულია თავი შევიკავოთ ცხარე და ცხიმიან საკვებისგან, დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ალკოჰოლურ სასმელებზე. ხელსაყრელი დროა სახლში კეთილმოწყობისა და კეთილგანწყობილი სიტუაციის შექმნისთვის, დასვენებისა და ოჯახური შეხვედრებისთვის.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◉ ინფორმაცია

## აპროტესტებენ ხელშეკრულებით მუშაობას

**„საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლები ერთთვიან შრომით ხელშეკრულებაზე გადასვლას აპროტესტებენ.**

**„საქართველოს ფოსტის“ ცენტრალურ ოფისთან 18 ფილიალის თანამშრომლები არიან შეკრებილები, რომლებიც 6-თვიანი ხელშეკრულების სისტემის აღდგენას ითხოვენ.**

**გარდა ამისა, ფოსტის თანამშრომლებს პრეტენზიები აქვთ იმასთან დაკავშირებითაც, რომ სამსახურიდან მათი დათხოვნის შემთხვევაში, ამის შესახებ ორი დღით ადრე ეცნობებათ.**

**როგორც „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლებმა განაცხადეს, ერთთვიანი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ისინი შესაძლოა, რეზერვში გადაიყვანონ და შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ფოსტის ხელმძღვანელმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, დაუბრუნდნენ თუ არა ძირითად სამსახურს.**

**— გამოდის, რომ ოთხი თვის განმავლობაში ორი თვე უნდა ვიმუშაო, ორი თვე კი რეზერვში ვიყო. ასეთი წესი არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ მოქმედებს. ამიტომ ვითხოვთ, დაგვაბრუნონ 6-თვიან შრომით ხელშეკრულების სისტემაზე და თუ ჩვენი სამსახურიდან გათავისუფლებას გადაწყვეტს ხელმძღვანელობა, ორი კვირით ადრე მაინც გვაცნობოს, — განაცხადა ფოსტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ნათია ხუჭუამ.**

**ამასთან, „საქართველოს ფოსტის“ გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ აღნიშნა, რომ „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლები შეცდომაში შეიყვანა განცხადებამ თანამშრომელთა რეზერვის შესახებ.**

**— თანამშრომლებს ჰგონიათ, რომ მე მათ სამსახურიდან ვათავისუფლებ და ვაცხადებ ახალ ვაკანსიას. რეალურად ასე არ არის. „საქართველოს ფოსტაში“ ყოველთვის უნდა იყოს რეზერვი და ამ რეზერვისთვის ჩვენ გამოვაქვეყნეთ განცხადება. ყველა თანამშრომელი ადგილზე რჩება და „საქართველოს ფოსტაში“ ჯერ ვაკანსია არ არსებობს, — განაცხადა ლევან ჩიკვაიძემ.**

ინტერპრესნიუსი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## სულიერება

# ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება გრძელდება



**ცნობილია, რომ დავით მეფსალმუნე ასე ბრძანებს ამ დღესასწაულის შესახებ: „ისმინე, ასულო, და მოყავ ყური შენი და დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისა“. და აი, დადგა კიდეც ღვთის წინასწარმეტყველის აღსრულების დრო. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა უნდა დატოვოს მშობლების სახლი და სამუდამოდ გადავიდეს საცხოვრებლად უფლის სახლში.**

მართალ იოაკიმეს და ანას ტაძარში მიჰყავთ ასული მარიამი. მარიამი შედის წმინდათა წმინდაში, აი, ამ მოქმედებით იწყება ღმერთთან ადამიანთა მოდგმის შერიგების საიდუმლო. ადამის მოდგმას აურაცხელ ცოდვათა გამო აეკრძალა სამოთხეში შესვლა, ღვთის წიაღში ადამიანთა დაბრუნების საწინდარი სწორედ დედა ღვთისას დაბადება არის.

სამი წლის მარიამი, ტაძრად მიყვანების შემდეგ, მოათავსეს ქალწულთა სავანეში, რომელიც უძველესი დროიდან არსებობდა. პატარა მარიამის ცხოვრებისეული წესი ღვთისადმი განსაკუთრებულ მოწიწებას აღძრავდა... ის ალიონზე დგებოდა, დღეში სამჯერ ლოცულობდა.

ამბობენ, რომ ქალწულ მარიამს წმინდა ანგელოზები ხშირად ეცხადებოდნენ, ყოველდღიურად ნახულობდნენ, ზეციურ საკვებს უძღვნიდნენ და ესაუბრებოდნენ... ხელსაქმედ ჰქონდა სელისა და მატყლის დართვა, უმეტესწილად სალვთისმსახურო შესამოსელს აბრეშუმით ქარგავდა.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ ყოვლადწმინდა მარიამმა ქალწულების აღთქმა დადო ღვთის წინაშე, რომ დარჩებოდა ტაძარში და უფლის ნებას დაემორჩილებოდა.

ეს უდიდესი დღესასწაული გრძელდება 10 დეკემბრამდე.

**გიული ლიპარტია**

## დაიჯესტი

### ამსტერდამში თუ მოხვდებით...

**ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ უცხოელ ტურისტებს არ აუკრძალავს ყავა-შოპებში ვიზიტებს, სადაც ნარკოტიკები, კერძოდ, მარიხუანა იყიდება.**

ამსტერდამის ბურგომისტრმა ებერჰარდ ვან



დერ ლანმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ეს აკრძალვა დიდად შეამცირებდა ქალაქის შემოსავალს, რომელსაც ის უცხოური ტურიზმისგან იღებს. მსუბუქი ნარკოტიკები კი ჰოლანდიაში 1976 წლიდანაა ლეგალიზებული.

### გინების... სიკეთე

**კილის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მეცნიერთა ბოლო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ბილწსიტყვაობას ცხოვრების უსიამოვნო მომენტების გადატანისას შვების მოტანა და, ასე განსაჯეთ, ფიზიკური ტკივილის დაამებაც კი შეუძლია!**

ექსპერიმენტში 64 სტუდენტი მონაწილეობდა, რომლებიც ორ ჯგუფად დაყვეს: თითოეულ მოხალისეს ხელი ყინულიან წყალში რაც შეიძლება დიდხანს უნდა გაეჩერებინა. პირველი ჯგუფის გამოსაცდელებს ბილწსიტყვაობის ნება დართეს, მეორისას კი აუკრძალეს: მათ მხოლოდ ნებისმიერ სხვა სიტყვების, მაგალითად, „სკამის“, „მაგიდის“, „კარის“ და ა.შ. წარმოთქმის უფლება ჰქონდათ.

აღმოჩნდა, „ენაბილწმა“ სტუდენტებმა ძალიან ცივ წყალს „წესიერებზე“ 40 წამით მეტ ხანს გაუძლეს! თავად „ენაბილწებმა“ კი აღიარეს, რომ როცა იგინებოდნენ, ტკივილის შეგრძნება თითქოს უნელდებოდათ.

მაშ, რაშია საქმე? აღმოჩნდა, რომ როცა კაცი იგინება, სისხლში... ბედნიერების ჰორმონების — ენდორფინების დონე მაღლა უწევს, რომლებიც ორგანიზმზე მძლავრ ტკივილგამაყუჩებელ ზემოქმედებას ახდენენ. სალანძღავი სიტყვების წარმოთქმისას კი ორგანიზმი ამ ჰორმონებს დიდი ოდენობით გამოიმუშავებს.

— ამასთან, გინებისას სისხლში კიდევ სტრესის ჰორმონი — ადრენალინი გაიფრქვევა, — ამბობს კილის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დოქტორი რიჩარდ სტივენსი. — იგი კუნთების შეკუმშვას, სისხლძარღვთა შევიწროვებას, აგრეთვე გულისცემის, სუნთქვისა და აზროვნების პროცესს აჩქარებს — მოკლედ საფრთხესთან გასამკლავებლად ყველა „ღონეს ხმარობს“.

სწორედ ადრენალინური რეაქცია ეხმარებოდა ოდესღაც ჩვენს წინაპრებს მტრის მოგერიებაში, დღესდღეობით კი სტრესულ ვითარებაში გვიცავს.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### წლის ბოლომდე სკოლების დაფინანსება 17 მილიონი ლარით გაიზრდება

2012 წლის ბოლომდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება 17 მილიონი ლარით გაიზრდება. ამას 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომელიც მთავრობამ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა. გარდა ამისა, შიდა გადანაწილების ხარჯზე 2,3 მილიონი ლარით სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტები იზრდება. აღნიშნული თანხა სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების სტუდენტებისთვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის დაფინანსებას უზრუნველყოფს.

**„რეზონანსი“**

### „მე-9 არხიდან“ „ნაციონალების“ აგენტურა გარბის

ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი წერს:

„...ერთი გამაგებინა, რომელმა „ჭკვიანმა“ ურჩია ბიძინა ივანიშვილს გენდირექტორად მაინცდამაინც კახა ბექაური დაენიშნა და რომელმა „პროფესიონალმა“ შთააგონა, ბექაური მაგარი „ტელევიზიონშიკია“ და თქვენს არხს ისეააწყობს, თქვენ რომ გეკადრებათო? თუ მეხსიერება არ მღალატობს (და არასოდეს არ მღალატობს მავანთა გულის გასახეთქად) ეს ის ბექაური უნდა იყოს, საზოგადოებრივ არხზე ზაზა შენგელიას მოადგილე რომ გახლდათ და რომელმაც „ბატონ“ ზაზასთან ერთად ძვლამდე გამოხრა აჭარის ტელევიზიაც. დღეს ტელევიზიიდან მოტეხილი ფულის წყალობით ზაზა შენგელია ოფიციალური მილიონერია.

**„საერთო გაზეთი“**

### „ბრალდებებს უპასუხოდ არ დავტოვებ!“

ამერიკაში გადახვეწილი დიმიტრი შაშკინი საქართველოსთან კავშირს არ წყვეტს და ყველა ბრალდებას ოპერატიულად პასუხობს. ამას ის სოციალური ქსელის ფეისბუქის მეშვეობით ახორციელებს. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ შაშკინი ძალიან მალე არჩილ კბილაშვილის საკბილო გახდება და რაკი დიმიტრი გამოძიების პასუხის გაცემას ფეისბუქის მეშვეობით აპირებს, ურიგო არ იქნება, თუ რამდენიმე პროკურორი სოციალურ ქსელში გამაგრდება.

**„ახალი თაობა“**

### ჟვანიას მკვლელობის მეორე დღეს, მისმა თანამშრომელმა მოიკლა თავი?!

პრემიერი ჟვანია 2005 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა. 2005 წლის 4 თებერვალს კი საკუთარ სახლში თავი მოიკლა ჟვანიასთან დაახლოებულმა პირმა და პრემიერის აპარატის თანამშრომელმა გიორგი ხელაშვილმა. ხელაშვილის თვითმკვლელობიდან მეორე დღეს, ანუ 5 თებერვალს მოსკოვში ბიზნესმენ მამუკა ჯინჭარაძეს კლავენ, რომელიც ჟვანიას მეგობრად და „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ დამფინანსებლად ითვლებოდა. ამასთან, მამუკა ჯინჭარაძეს ინტერესები „სახალხო ბანკშიც“ ჰქონდა.

**„ქართული სიტყვა“**

### „მითხრეს, როგორმე ჩამოიყვანე ემზარ კვიციანი, დაგვაჭერინე და თავისუფალი იქნებიო“

— ჰყვება ჩვენი კოლეგა, პატიმარი არმაზ ხარძიანი, — პირველი შემოთავაზება იყო ზვიად ძიძიგურისა და კახა კუკავას დისკრედიტაცია — მათთვის 10000 დოლარი უნდა ჩამედო მანქანაში ... მერე, როცა ოპოზიცია შესუსტდა და კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის თემამ წამოიწია, მთავაზობდნენ, სვანეთში შეხვდიო. კვიციანთან, როგორც ჟურნალისტს, კარგი ურთიერთობა მქონდა. ერთხელ სატელეფონო საუბრისას მითხრა, სვანეთში სოფელ კალაში შევხვდეთო. მე კატეგორიული უარი განვაცხადე, რადგან კვიციანი რომ დაეპატიმრებინათ, არავინ დაიჯერებდა, მე რომ არ „ჩავუშვი“.

**„ყველა სიახლე“**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— რა არის გამოცდილება?
— ეს არის ის, რაც ქალს ეხმარება გათხოვებაში, კაცს კი — უცოლოდ დარჩენაში.

* * *

— ეჰ, ნაღდად გადაშენდნენ ნამდვილი მამაკაცები, რომელთაც ქალის გულისთვის განუსჯელი საქციელის ჩადენა შეუძლიათ!
— რატომ ამბობთ ასე? ისინი ქალებზე ქორწინდებიან.

* * *

ცოლქმრობა — ეს რომანია, რომელშიც მთავარი გმირი პირველსავე თავში იღუპება.



— პური იყიდე? — ეკითხება ცოლი სახლში მოსულ ქმარს.
— ეს არ არის კაცის საქმე.
— მაშინ გააკეთე კაცის საქმე!
— შენ რა, ხუმრობა არ გესმის? მომეცი ბადურა!

* * *

— ჩემი ცოლი საშინელი ფემინისტია. იმისთვის გამიბრაზდა, რომ მანქანის კარი გავუღე.
— ამან რატომ გააბრაზა?
— სიჩქარე ას კილომეტრამდე იყო!

* * *

— ბიჭო, მომეცი ეგ შენი ფარანი! — ეუბნება ტიპი ივანიჩს ბნელ ჩიხში.
— ეს ფარანი კი არა, მობილური ტელეფონია!
— მაშინ, მით უფრო!!!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com